# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 208 (5809)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## ხალხი ქუჩაში გამოვა, შედეგებს დღეს ვერავინ განჭვრეტს...

2

*ხელისუფლებამაც და მომიტინგეებმაც (ე. ი. ოპოზიციამაც) უნდა მოძებნონ კომპრომისის გზა, უფრო სწორად, ასეთი გზა ახლა უკვე მოძებნილი და განსაზღვრული უნდა იყოს*



## მიხეილ სააკაშვილი: სერგეი ჩაბანი საქართველოში არასასურველ პერსონად გამოცხადდება და რამდენიმე დღეში მან ქვეყნის ტერიტორია უნდა დატოვოს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ განმუხურში ჩავიდა, სადაც იმ დილით პატრიოტული ბანაკის მიმდებარე ტერიტორიაზე აფხაზეთის მხრიდან მძიმე ტექნიკით შეიარაღებული რუსული სამშვიდობო ძალების რაზმი შემოიჭრა.

ტელეკომპანია „რუსთავი 2-“ის მიერ გავრცელებული სატელეფონო ჩანაწერის მიხედვით, პრეზიდენტმა რუს სამშვიდობოებს ზუგდიდის რაიონის სასწრაფოდ დატოვება მოსთხოვა.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამშვიდობოების სარდალი სერგეი ჩაბანი საქართველოში არასასურველ პერსონად გამოცხადდება და რამდენიმე დღეში მან ქვეყნის ტერიტორია უნდა დატოვოს.

პრეზიდენტმა რუს სამშვიდობოებს მოუწოდა, შეწყვიტონ პროვოკაციები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საქართველოს ხელისუფლება სხვა ზომებს მიმართავს. პრეზიდენტის ჩარევით განმუხურში რუსების მიერ ტყვედ აყვანილი სამი ქართველი სამართალდამცავი გუშინვე გაათავისუფლეს.

ინტერპრესნიუსი



## ყოველი პარტია არის მრავალთა სიგიჟე ერთეულთა სასარგებლოდ

იცოდეთ, მონურ მორჩილებას არ ვარ ნაჩვევი, ვამაყობ ერისშვილობით და ჩემი ღირსებით. თქვენ შეგიძლიათ ისე მომკლათ, ვით მამაჩემი, მაგრამ ვერასდროს ჩემს მონობას ვერ ეღირსებით!

2

## შარშან, ამ დროს, პური 50 თეთრი ღირდა, ახლა კი...

6



## გოგი ქავთარაძე:

3

*სირცხვილია, იქნებ 21-ე საუკუნეში მაინც გონს მოვეგოთ და როცა ერთად არ ვიყავით, იმდროინდელი ისტორიული გაკვეთილები გავაანალიზოთ*

## „არ დაიჯეროთ, 2 ნოემბერს ეს ხელისუფლება ვერ გაისვრის!“

## შედგება კი მეოთხე რუსეთი?

7

# ადუღებული დრო

● როგორც ჩანს, ძალაუფლებას სატანური ძალა აქვს, რომელსაც ბევრი მბრძანებელი ვერ უწევს წინააღმდეგობას...




◎ გვეხმაურებიან

## ხალხი ქუჩაში გამოვა, შედეგებს დღეს ვერავინ განჭვრეტს...

**მთავარია, ხელისუფლებამაც და მომიტინგეებმაც (ე. ი. ოპოზიციამაც) კომპრომისის გზა მოძებნონ!**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას**



თქვენი გაზეთის 27 ოქტომბრის ნომერში ყურადღება მივაქციე ბატონ ისიდორე ჯანელიძის წერილს: „თუ ქართველები ჩვენს ხუშტურებს მოვერიეთ, ვერავინ დაგვაჩოქებს".

წერილმა დამაინტერესა არა მარტო იმიტომ, რომ მისი ერთი ნაწილი ჩემ პიროვნებას ეხება, არამედ იმიტომაც, რომ იქ აღძრული საკითხები დღევანდელ მწვავე სიტუაციასაც ეხმაურება.



როცა ქვეყანა კრიზისის კართანაა, ხელმძღვანელობაც და მოსახლეობაც გამოსავალს უნდა ეძებდნენ, რათა კომპრომისებისა და ურთიერდათმობის გზით მძიმე შედეგები თავიდან ავიცილოთ.

წერილში ჩემი გადადგომის შესახებაც არის საუბარი 23 ნოემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ, ამასთან ციტირებულია ჩემი ასეთი ნაბიჯის შეფასება აშშ პრეზიდენტის ჯორჯ უ. ბუშის მიერ. ციტირებისგან თავს შევიკავებ, რადგან დაინტერესებული მკითხველი, დარწმუნებული ვარ, გაზეთის ამ ნომერს აუცილებლად გაეცნობოდა.

სხვათა შორის, მინდა შეგახსენოთ, რომ ეს არ იყო მაღალი თანამდებობიდან ჩემი გადადგომის ერთადერთი ფაქტი. ბევრს ახსოვს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან ჩემი გადადგომა, რასაც მთელი მსოფლიო გამოეხმაურა.

ამას წინათ ქალბატონმა მაყვალა გონაშვილმა გაიხსენა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის შენარჩუნებისთვის ბრძოლა. აბა კარგად გავიხსენოთ ამ ღირსსახსოვარი მოვლენის ყველა დეტალი. ვინ შეუწყო ხელი ქართველი ახალგაზრდობის ქუჩაში მასობრივად გამოყვანას? გავიხსენოთ მთელი ამ რთული მოვლენის „ტექნოლოგია", მაშინაც ქვეყნის ხელმძღვანელობამ თავი გასწირა და რომ არა ლეონიდ ბრეჟნევის პრინციპული გადაწყვეტილება, საკითხი არ გაეტანათ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, საქართველოს ხელმძღვანელობის ბედი გადაწყვეტილი იყო.

ჩემს მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა, არანაკლებ დრამატული მოვლენები ასახულია წიგნში „ფიქრი წარსულსა და მომავალზე".

ხშირად მეკითხებიან: რით დამთავრდება 2 ნოემბრის მოვლენები? პასუხი ერთია: ხალხი ქუჩაში გამოვა, შედეგებს დღეს ვერავინ განჭვრეტს.. მთავარი ერთია, ხელისუფლებამაც და მომიტინგეებმაც (ე. ი. ოპოზიციამაც) უნდა მოძებნონ კომპრომისის გზა, უფრო სწორად, ასეთი გზა ახლა უკვე მოძებნილი და განსაზღვრული უნდა იყოს და მსჯელობა სწორედ ამ კომპრომისის მიღება-მიუღებლობაზე უნდა მიმდინარეობდეს.

ღმერთმა ინებოს, ყველაფერი კეთილად დამთავრდეს.

პატივისცემით
**ედუარდ შევარდნაძე**

**ვახუშტი კოტეტიშვილი**

## ჩემი მრწამსი

**ყოველი პარტია არის მრავალთა სიგიჟე ერთეულთა სასარგებლოდ**



**ყოველი საერთო სახალხო მღელვარების აგორებისას მეკითხებოდნენ და ამჟამადაც მეკითხებიან ხოლმე: — შენ ვის მხარეს ხარ? — ჩემი პასუხი უცვლელია: — მე იქ ვარ, სადაც ჩემი ხალხია!**

ან კიდევ, სურთ ხოლმე, დააზუსტონ, რომელ პარტიას ვეკუთვნი? — ჩემი პასუხი აქაც ერთმნიშვნელოვანია: — ჩემი 72 წლიანი ცხოვრების მანძილზე არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, ვინაიდან სავსებით ვიზიარებ ჯონათან სვიფტის გენიალურ განსაზღვრებას: **„ყოველი პარტია არის მრავალთა სიგიჟე ერთეულთა სასარგებლოდ"**. სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება საუკუნეთა მანძილზე უცვლელია. ე.წ. „ხალხის რჩეული" გამარჯვების შემდეგ იმავე ხალხის დამთრგუნველად იქცევა ხოლმე.

როგორც ჩანს, ძალაუფლებას სატანური ძალა აქვს, რომელსაც ბევრი მბრძანებელი ვერ უწევს წინააღმდეგობას თავის თავში და იმის ნაცვლად, რომ ირგვლივ გონიერი ხალხი შემოიკრიბოს, ყურმოჭრილ მონათა ამალის გარემოცვაში აღმოჩნდება ხოლმე, რაც აუცილებლად მისი ზეობის სავალალო დასასრულს მოასწავებს.

ამას წინათ ასეთ ფიქრებში ჩაძირულს ერთი ორსტროფიანი ლექსი დამეწერინა, რომელსაც მკითხველს ვთავაზობ:

### ყველა მბრძანებელს!

ასე ყოფილა, დაწყებული ძველი ელადით,
და, სამწუხაროდ, ამ აზრს არ აქვს სხვა გზა-საქცევი,
რომ ქვეყნად ყველა მბრძანებელი, ყველა ბელადი
იყო და არის ბრძენი ხალხის ბრბოდ გადამქცევი.

იცოდეთ, მონურ მორჩილებას არ ვარ ნაჩვევი,
ვამაყობ ერისშვილობით და ჩემი ღირსებით.
თქვენ შეგიძლიათ ისე მომკლათ, ვით მამაჩემი,
მაგრამ ვერასდროს ჩემს მონობას ვერ ეღირსებით!

14.09.07

◎ მოგვისმინეთ!

## რატომ უნდა მივიდეთ 2 ნოემბერს საპროტესტო აქციაზე

**„ქართული აკადემიის" მიმართვა თანამემამულეებისადმი**

**გუშინ რუსთაველის პროსპექტზე, დიდი ილიასა და აკაკის ძეგლის წინ, „ქართული აკადემიის" წარმომადგენლებმა საზოგადოებას გააცნეს საგანგებო მიმართვა თანამემამულეებისადმი, რომელშიც ნათქვამია:**

**ხელისუფლებას**, რომელმაც ოთხი წლის მმართველობის პერიოდში ქვეყანაში წარმოშვა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო კრიზისი, მომაკვდინებელ საფრთხე შეუქმნა ქართველთა ეროვნულ თვითმყოფადობასა და სახელმწიფოებრივ არსებობას;

**ხელისუფლებას**, რომელიც ანგრევს ტაძრებს და ცდილობს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დაშლა-დანაწევრებას;

**ხელისუფლებას**, რომელმაც ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წასწია წინ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმე და რომელიც უკანასკნელი თავშესაფრიდან ყრის დევნილ მოსახლეობას;

**ხელისუფლებას**, რომელმაც მოშალა და გაანადგურა სასკოლო და უმაღლესი განათლება, ლახვარი ჩასცა დედაუნივერსიტეტს და დაანგრია მეცნიერებათა აკადემია, რომელიც განვითარების პერსპექტივას უსპობს თვითმყოფად ქართულ კულტურას;

**ხელისუფლებას**, რომელიც ცდილობს ახალგაზრდობის მორალურ გახრწნას და საამისოდ ქმნის ახალი ტიპის კომკავშირულ ორგანიზაციებს;

**ხელისუფლებას**, რომელიც ცინიკურად ფეხქვეშ თელავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, რომელმაც მთლიანად მოშალა სასამართლო სისტემა, დანერგა სამართლებრივი ნიჰილიზმი და შერჩევითი მართლმსაჯულება და რომელსაც ჰყავს პოლიტიკური და სინდისის პატიმრები;

**ხელისუფლებას**, რომელიც ცდილობს, თავის კონტროლს დაუმორჩილოს მასმედია;

**ხელისუფლებას**, რომელსაც ქუჩაში ახალგაზრდების ხოცვა-ულეტა აქვს გაჩაღებული;

**ხელისუფლებას**, რომელმაც უკიდურესი სილატაკის ზღვარზე მიიყვანა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ნეობოლშევიკური მეთოდებით ქუჩაში გამოყარა ათეულ ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი და მათხოვრული არსებობისათვის გაწირა ისინი, ახლა კი სურს ასლარიანი ვაუჩერებით მოისყიდოს სასოწარკვეთილი და სილატაკით გაწამებული ადამიანები;

**ხელისუფლებას**, რომელიც უხეშად ხელჰყოფს კერძო საკუთრების უფლებას და ბიზნესზე განხორციელებული სისტემატური რეკეტი აიყვანა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში;

**ხელისუფლებას**, რომელიც ნერგავს ძალადობას, განუკითხაობასა და ქაოსს, ჩაფლულია კორუფციის ჭაობში, ყიდის საქართველოს მიწა-წყალსა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებს;

**ხელისუფლებას**, რომელსაც არ შეუძლია საზოგადოებასთან დიალოგი, ეზიზღება ხალხი და ყოველდღიურად შეურაცხყოფს მის ღირსებას;

და ბოლოს, **ხელისუფლებას**, რომელმაც საპასუხოდ მიიღო ხალხისავე ზიზღი და რისხვა,

უფლება არა აქვს, იწოდებოდეს ხალხის ხელისუფლებად!

იმისათვის, რომ ხალხმა ასეთი კაცთმოძულე ხელისუფლება შედარებით უმტკივნეულოდ ჩამოაშოროს ქვეყნის მართვას, კატეგორიულად უნდა მოსთხოვოს პრეზიდენტსა და მის ხელის ბიჭად ქცეულ საპარლამენტო უმრავლესობას, დანიშნონ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის გაზაფხულზე, კონსტიტუციურად დადგენილი უფლებამოსილების ვადებში, მიიღონ დემოკრატიული პრინციპების შესაბამისი საარჩევნო კანონი, ხოლო „ჯიბის" საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობით დაითხოვოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, კატეგორიულად უნდა დადგეს პრეზიდენტ სააკაშვილის დაუყოვნებლივი გადადგომის პოლიტიკური მოთხოვნა.

„ქართული აკადემია" მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ოპოზიციის მიერ 2 ნოემბერს დაგეგმილ აქციაში და მოუწოდებს მასწავლებლებს, მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, ახალგაზრდობას, უკლებლივ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს აწმყო და მომავალი, შეუერთდეს 2 ნოემბრის საპროტესტო აქციას და აგრძნობინოს თავგასულ ხელისუფლებას, თუ ვინ არის ქვეყნის ბატონ-პატრონი ერთი მუჭა სახელისუფლებო წრე, რომელმაც ხალხის მოტყუებითა და თაღლითობით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და ბოროტად იყენებს მას, თუ ხალხი, რომელსაც შეუძლია ხელისუფლების შექმნაც და მისი ჩამოშორებაც პოლიტიკური ასპარეზიდან.

**„ქართული აკადემია"**

# ადუღებული დრო

● სირცხვილია, იქნებ 21-ე საუკუნეში მაინც გონს მოვეგოთ და როცა ერთად არ ვიყავით, იმდროინდელი ისტორიული გაკვეთილები გავაანალიზოთ


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ◎ თვალსაზრისი

*„ქართულმა აკადემიამ“ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო პოზიცია გამოხატა და მასმედიაში არაერთი განცხადება თუ წერილი გამოაქვეყნა. „ქართული აკადემია“ 2 ნოემბრის აქციაშიც მონაწილეობს.*

*აკადემიის წევრს, რეჟისორ გოგი ქავთარაძეს ჩვენი წარდგენა არ სჭირდება. ბატონ გოგის ვთხოვეთ მოვლენების შეფასება და, უწინარესად, ხელისუფლების წარმომადგენელთა იმ განცხადების კომენტარი, — საქართველოში არანაირი პოლიტიკური კრიზისი არ არისო.*

# გოგი ქავთარაძე: „არ დაიჯეროთ, 2 ნოემბერს ეს ხელისუფლება ვერ გაისვრის!“

— თუ ხელისუფლება ამბობს, რომ ქვეყანაში კრიზისი და უკმაყოფილება არ არის, ეს სირაქლემას მაგონებს. ამით საკუთარ თავსაც უხერხულად წარმოაჩენენ და ხალხიც მათდამი ნდობას საბოლოოდ კარგავს. „ღია ეთერის“ ინტერაქტივმა გვამცნო, რომ მაყურებელთა 70 პროცენტზე მეტი მხარს უჭერს ოპოზიციას. ეს რიცხვი ძალზე შთამბეჭდავია, ამდენს ნამდვილად არ ველოდი, რადგან ხელისუფლებას ჯერ კიდევ მრავალი მომხრე ჰყავს, თანამდებობის პირების, გამგებლების, ახლობლების თუ ნაცნობების სახით...

**— თქვენი აზრით, 2 ნოემბერს მიტინგზე მოვა ხალხის ის რაოდენობა, რასაც ოპოზიცია ვარაუდობს?**

— ვფიქრობ, ასე იქნება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ მასის ქუჩაში ტყუილად გამოყვანა. ოპოზიციამ მათ ძალიან კონკრეტული მოთხოვნები უნდა დაახვედროს, ანუ პარლამენტის შენობასთან მოსულ ხალხს გონივრული მართვა სჭირდება. ვინც მოვა, მან გარკვევით უნდა იცოდეს, რას სთავაზობს მიტინგის ხელმძღვანელობა, რა პროგრამა აქვთ...

რამდენადაც გავიგე, მიტინგის მონაწილეებმა ხელისუფლებას უნდა შეუგზავნონ მოთხოვნების პაკეტი. ხალხი პასუხს დაელოდება, და თუ ამ, ასე ვთქვათ, ულტიმატუმს არ მიიღებენ, მაშინ პროცესი შესაძლოა მშვიდობიან, მაგრამ მაინც ამბოხში გადაიზარდოს. ხალხი აღარ დაიშლება...

**— ოპოზიციამ რეგიონებში ჩაატარა მიტინგები და მოთხოვნები გააცნო ხალხს...**

— ვფიქრობ, რეგიონებში გასვლას მაინც ერთი პარტია ხელმძღვანელობს. ვისურვებდი, რომ ოპოზიციის სპექტრი თანაბრად გამოჩნდეს, თორემ საშიშროებას ვხედავ, სამომავლოდ, ამის გამო ზოგიერთს პრეტენზიებიც გაუჩნდეს.

ჩვენ კი ოპოზიციაში განხეთქილება ხელს არ გვაძლევს. როგორც იქნა, ავად თუ კარგად, ირაკლი ოქრუაშვილის განცხადების შემდეგ, ოპოზიცია გაერთიანდა. სირცხვილია, იქნებ 21-ე საუკუნეში მაინც გონს მოვეგოთ და როცა ერთად არ ვიყავით, იმდროინდელი ისტორიული გაკვეთილები გავაანალიზოთ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ოპოზიციაში განხეთქილების შეტანას შეეცდება? ისინი ხშირად ამბობენ, რომ ოპოზიციაში სხვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფებია თავმოყრილი, რომელთაც სინამდვილეში არაფერი აერთიანებთო...**

— მათ ამ ხელისუფლებისადმი უნდობლობა და მის შესაცვლელად უკომპრომისო ბრძოლა აერთიანებთ. ეს დიდ რამეს ნიშნავს, ტყუილად ნუ იმშვიდებს გულს ხელისუფლება. სჯობს, გონს მოეგოს და დროზე წამოვიდეს დიალოგზე და რაღაცეები დათმოს. უფრო ნაკლებ კონტრდარტყმას მიიღებს მოსახლეობისგან.

**— ხელისუფლება კომპრომისს რომ არ აპირებს, ამას მათი გამოსვლებიც ადასტურებს...**

— ვნახოთ, 2 ნოემბერს გაირკვევა. ბარიერი უკვე 5 პროცენტამდე დასწიეს.

**— სათავისოდ უფრო გამოადგებათ...**

— არა მგონია, მხოლოდ სათავისოდ უნდოდეთ. თუ ესენი საარჩევნო კანონს არ შეცვლიან და დიალოგზე არ წამოვლენ, ეს კონფრონტაცია გაღრმავდება და ხელისუფლებას დაეჯახება. ხოლო თუ ხელისუფლება არჩევნებში გაყალბებისა და უსამართლობის გზით გაიმარჯვებს, სწორედ ამას გადაყვება. როდესაც მიტინგზე მთელი ოპოზიცია მივა, ანუ უკვე ოპოზიციად გადაქცეული მოსახლეობა ერთმანეთს შეეკითხება და გაარკვევენ, რომ მათ ხმა არ მიუციათ ამ ხელისუფლებისთვის, მაშინ გაჩნდება კითხვა — საიდან მოაგროვეს ამდენი ხმა? ეს სიყალბე გასკდება და შეიძლება უკვე წამლეკავიც აღმოჩნდეს. ასეთია ჩემეული პროგნოზი.

**— ზოგიერთი შიშობს, რომ ხელისუფლება 2 ნოემბრის მიტინგს დაარბევს...**

— ხალხი ამ ხელისუფლებას არ ენდობა, არც მე ვენდობი, იმასაც გაიგონებთ, რომ ხელისუფლება, დაუნდობელია, ყველაფერზე წავა — დაარბევენ, ისვრიანო. არ დაიჯეროთ, არაფერი მოხდება, საამისო ჭკუა ნამდვილად აქვთ. ეს არის ერთადერთი „კომპლიმენტი“, რაც შეიძლება ამათზე ვთქვა. ესენი არ არიან გიჟები, უაზრო ხალხი, ეს რომ ჩაიდინონ. ამის გაკეთება ნიშნავს, რომ მათ შანსი საერთოდ აღარ ექნებათ. ახლა შეიძლება ცოტაოდენი შანსი მაინც ჰქონდეთ. ხალხი მათ ამას უკვე არ აპატიებს. უკმაყოფილონი ძალიან ბევრნი არიან.

რეგიონებიდან ჩამოსულ უამრავ ადამიანს ვხვდები — კახეთიდანაც და იმერეთიდანაც. მათ აზრს ვეკითხები, რა ვითარებაა, როგორია განწყობა. მეუბნებიან, რომ სოფლად აღარავინ დარჩა, ვინც ამათ მხარს უჭერსო, ანუ ხალხი უწინდელივით, ზვიადისტებად და მოწინააღმდეგებად აღარ არის დაყოფილი. მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ხელისუფლებისადმი.

ამიტომ 2 ნოემბრის მრავალათასიანი მიტინგი ჭკვიანურად და საქმიანად უნდა ჩატარდეს, რომ ამ შეკრებამ მიზანს მიაღწიოს. შეკრება შეკრებად არ უნდა დარჩეს.

ერთი რაღაც ძალიან მაფიქრებს...

**— მაინც რა?**

— გლეხობა, ის ხალხი, ვისაც ველაპარაკე, ამბობს, რომ გამორიცხული არ არის, სწორედ 2 ნოემბერს ვაუჩერებისა და ფულის დარიგება დაიწყონო...

**— ეგ არ ვიცი, მაგრამ გზების გადაკეტვას კი აპირებენ, რეგიონებში მძღოლებს ემუქრებიან...**

— მცირერიცხოვან კოლონას არ გამოუშვებენ, მაგრამ თუ ხალხის ტალღა ერთიანად დაიძრა, მათ ვერავინ შეაჩერებს. ამიტომ ეს უნდა იყოს მძლავრი ჭავლი.

**— ხომ არ გგონიათ, რომ ხელისუფლება რეალობას მოსწყდა? ამას მათი ზოგიერთი ქალბატონის სატელევიზიო გამოსვლებიც მოწმობს...**

— მასზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ის უაზროდ აღიზიანებს ხალხს და ხელისუფლებამ ასეთი ადამიანები დროზე უნდა მოიშოროს.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**



## ◎ უპასუხო კითხვა

# ხელისუფლება ტკბილ სიზმრებში დაფრინავს...

## ვინ არიან „ჩარეცხილები“, ჩასარეცხები და „ფანდაგრასტები?“

*„ყოველივე ქვეყნიერი ამაო, აჩრდილ და სიზმარ არს“, — ჩვენი ცხოვრება მართლაც, წააგავს ამ უცნაურ აჩრდილსა თუ სიზმარს! მთავრობები კალეიდოსკოპურად იცვლებიან, თანაც ყოველი ახალი ხელისუფლება ხალხს ისე აბრუებს დაპირებებით, ქვეყნის აღმავლობის ისეთ წარმტაც სურათებს გვიხატავს, მართლაც, ტკბილ სიზმარში გეგონება თავი!*

უცნაური კი მაინც ის არის, რომ ყველა ოპოზიციონერი, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ტყუპისცალივით ემსგავსება წინამორბედს: საკუთარ სკამს ისე უფრთხილდება, როგორც დედა ავადმყოფ შვილს. თანაც ისეა ჩაჩუმებული, ჩაფერფლილი, გეგონებათ, აბრიალებულ კოცონს მთელი ცისტერნა წყალი გადაასხესო... სანაცვლოდ — ჯიბესაც ისქელებს და უზრუნველი ცხოვრებაც გარანტირებული აქვს.



ამ ეიფორიაში „მარადიული“ მხოლოდ ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირებაა. ვინ იცის, რა ეპითეტებით ამკობს ერთმანეთს ეს ორი მხარე, მერამდენედ ამხელს ათასჯერ ჯვარცმულ და შეჩვენებულ მოწინააღმდეგეს. ასე იყო უწინ, ასეა დღესაც... არცთუ დიდი ხნის წინათ, პრეზიდენტმა ქვეყნის პირველი ლეიბორისტი „შალიკოდ“ მოიხსენია. გაგულისებულმა შალვა ნათელაშვილმა ოპონენტს ნახევრად ხუმრობით ხან „შადრევან პირველი“ უწოდა — ხანაც — „ქსუტუნ მეორე“.

ოპოზიციის „მამებს“ ენაკვიმატობით არც ხელისუფლების ლიდერები ჩამორჩებიან. ისინი მოწინააღმდეგეებს და მათს პრეტენზიებს „ბოდვად“, „ჩარეცხილებად“, „გაფარჩაკებულებად“, „მოლალატუკეებად“, სხვა ეპითეტებით „ამკობენ“. არანაირი დანდობა და მოყვასის სიყვარული! პრინციპი მარტივია — „ვინც ჩვენს აზრს არ იზიარებს, ჩვენი მტერია“. ნამდვილ მტრებს „და ფანდაგრასტის“ ძახილითა და პათეტიკური განცხადებებით ვუპირებთ დამარცხებას, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს კი მხოლოდ ვირტუალურად ვიბრუნებთ!

ხალხი გმინავს და ვერ გაურკვევია, ამ ორომტრიალში ვინ არის „ჩარეცხილი“, ვინ — ჩასარეცხად განწირული, ვინ კიდევ... „და ფანდაგრასტი“. რატომ იწონებენ თავს ტელეეკრანებიდან ნახევრად შიშველი „ვარსკვლავები“, „ვაჟკაცი“ გოგონები და „ნაზი“ ბიჭები, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის... ქვეყანაში რატომ ქცეულან ავტორიტეტებად გაქუცული მოთხრობებისა და ლექსების შემქმნელნი, რატომ ქცეულა ოქრო ქვიშად და ქვიშა ოქროდ?!

ამასობაში ხელისუფლებასა და საზოგადოებრიობას შორის დაპირისპირება იზრდება. ნიჰილიზმი პიკს აღწევს. ხალხი დაიღალა ყალბი ფეიერვერკებითა და აშადრევნებული ცხოვრების გამო თავმოწონებით. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე? როდის გვეშველება? — უკვე მერამდენედ ეკითხებიან ერთმანეთს — და ხელისუფლებისგან პასუხს ელიან...

**ხათუნა ჩიგოგიძე**

## ◎ ინფორმაცია

### დამნაშავენი დაუსჯელნი დარჩებიან

**გუშინ** მოძრაობა „ერთიანი საქართველოსათვის“ წევრებმა ეკა ბესელიამ და გია ცაგარეიშვილმა ზუგდიდში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც გია ცაგარეიშვილმა განაცხადა, დეპუტატის ცემისათვის კანონი გაცილებით მძიმე სასჯელს ითვალისწინებს და ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დარბევაში მონაწილე პირების მიმართ არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღო.

— ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დარბევაში მონაწილე პირებს ოცდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა, ზოგიერთს კი ჯარიმა აკმარა და საპატიმრო ვადაც არ განუსაზღვრა. მთელმა საქართველომ იხილა, როგორ უსწორდებოდნენ ეს ადამიანები დეპუტატებს და ეს დანაშაული უმძიმეს სასჯელს ითვალისწინებს.

მისივე თქმით, ასეთი დარბევებით ხელისუფლება არათუ დააშინებს საზოგადოებას, პირიქით, საზოგადოებაში უფრო ძლიერი პროტესტის გრძნობას გამოიწვევს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

● ზამთარი იქნება საკმაოდ თბილი. სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა ან გადახედვა დღის წესრიგში არ დგას



◎ კომპეტენტური აზრი

*ენერგეტიკის მინისტრის ალეკო ხეთაგურის განმარტებით, 2008 წლისთვის ენერგეტიკის სამინისტროს ძირითადი პრიორიტეტი ჰიდროელექტროსადგურების პოტენციალის მაქსიმალური ამაღლება, არსებული სიმძლავრეების გამოყენება და გადამცემი ქსელების რეკონსტრუქცია იქნება.*

*მინისტრი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციის ჩადების მსურველთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება და სამინისტროში უამრავი ბიზნესწინადადება შედის.*

*სიტუაციაში უკეთ გასარკვევად „ჯი-ეიჩ-ენი“ ენერგეტიკის მინისტრს ალეკო ხეთაგურს დაუკავშირდა:*

# ალეკო ხეთაგური: ევროპამ დაინახა საქართველოს როლი რეგიონში ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში

**— ბატონო ალეკო, რა თანხით განისაზღვრება ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტი 2008 წლისთვის და რა იქნება პრიორიტეტები გაისად?**

— 2008 წლის ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტი, სავარაუდოდ, 40-41 მლნ. ლარის ფარგლებში იქნება და ძირითადი პრიორიტეტი ჰიდროელექტროსადგურების პოტენციალის მაქსიმალური ამაღლება, სიმძლავრეების გამოყენება და გადამცემი ქსელების რეკონსტრუქცია იქნება. 2008 წელს ძირითადად ორი მიმართულება დაფინანსდება: ვარდნილჰესის კასკადი და აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა.

ელექტროგადამცემ ხაზზე პატარ-პატარა მონაკვეთებია აღსადგენი, რადგანაც ის თავის დროზე მთლიანად გაძარცვეს.

2008 წელს, ძირითადად, ამ ორი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ, რადგანაც ენერგეტიკის სექტორში პრივატიზაცია წარმატებით განხორციელდა და კომპანიები მნიშვნელოვნად პროგრესირებენ შემოსავლების კუთხით. მათ უკვე თავად შეუძლიათ დააფინანსონ პროექტები, მათ შორის რეაბილიტაცია.

**— საუბარი იყო 100 ახალი ჰესის მშენებლობაზე. პროგრამის ფარგლებში 2008 წლისთვის რამდენი ახალი ჰესის მშენებლობაა უკვე დაგეგმილი?**

— ამ დროისათვის მემორანდუმი მხოლოდ 4 ელექტროსადგურზეა გაფორმებული, საქართველოში პირველად აშენდება ქარის ჰიდროელექტროსადგური, გამოცხადებულია ინტერესთა მიღება სხვადასხვა ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობისთვისაც. ყველაფერი დამოკიდებულია ბაზარზე და იმ საკანონმდებლო სივრცეზე, რაც საქართველოში არსებობს. ამ მიმართულებით საკანონმდებლო ბაზა მართლაც კარგი გვაქვს. ამან ინვესტორები დაარწმუნა, რომ საქართველოში ენერგეტიკის სექტორი ძალიან სწრაფად პროგრესირებს.

**— გამოხატავენ თუ არა ინვესტორები დაინტერესებას ენერგეტიკის სფეროს ათვისებით და რამდენად მომხიბვლელია მათთვის ენერგეტიკის სექტორში ფულის დაბანდება?**

— დაინტერესება მართლაც დიდია. სამინისტროში ბევრი ბიზნესწინადადება შემოდის. ჩვენ მათ განვიხილავთ, დადებითი პასუხის შემდეგ კი სხვადასხვა შეთანხმება ფორმდება და ნებართვები გაიცემა.

**— არსებობს თუ არა „შაჰდენიზიდან“ გაზის კომერციულ ფასად მიღების შესაძლებობა და მიმდინარეობს თუ არა ამ მიმართულებით მოლაპარაკებები? აღნიშნული შეთანხმების არსებობის პირობებში რა მოცულობის გაზის მიღება შეუძლია საქართველოს შაჰდენიზიდან?**

— აზერბაიჯანულ მხარესთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. საუბარია იმაზე, რომ გაზის გარკვეული მოცულობა დასაბუთებულად კომერციული ფასებით შევიძინოთ.

**— მიმდინარეობს თუ არა აზერბაიჯანიდან გაზის მოწოდების გრძელვადიან კონტრაქტზე მუშაობა და გაზრდის თუ არა აზერბაიჯანი იანვრიდან მოწოდებული გაზის ტარიფს?**

— მუშაობა ამ მიმართულებითაც მიმდინარეობს. აზერბაიჯანულ მხარესთან თითქმის ყველა საკითხზე წარმოებს მოლაპარაკება და სწორედ ამიტომ იმართება ინტენსიური შეხვედრები.

**— საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, პოლონეთისა და უკრაინის ენერგეტიკის მინისტრებმა ვილნიუსში უწყებათაშორისი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გააფორმეს. უფრო კონკრეტულად, რას მისცემს ეს პროექტი საქათველოს და მისი განხორციელების შემდეგ რა მოგებას მიიღებს ჩვენი ქვეყანა?**

— აღნიშნული შეთანხმება მართლაც მნიშვნელოვანია. საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით დიდი სატრანზიტო პოტენციალი აქვს. ევროპის ქვეყნებმა კიდევ ერთხელ დაინახეს საქართველოს მნიშვნელობა და როლი რეგიონში ენერგეტიკული პროქტების განხორციელებაში. თვითონ ამ მილსადენის მშენებლობის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ნავთობი გაივლის. შესაბამისად, საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზრდება, რაც იმის შესაძებლობას გვიქმნის, რომ საუბარი დავიწყოთ ახალი მილსადენის მშენებლობაზე .

**— უახლოეს ხანებში საქართველოს მთავრობასა და „თელასს“ შორის არსებული ხელშეკრულების გადახედვა იგეგმება.. კონკრეტულად რომელი მუხლების გადახედვას გვთხოვს რუსული მხარე და რის გათვალისწინებას მოითხოვს ქართული მხარე?**

— მუშა ჯგუფი უკვე შექმნილია და მასში ენერგეტიკისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და სხვა სათანადო უწყების წარმომადგენლები იქნებიან წარმოდგენილი. არსებული ხელშეკრულება გადაიხედება, რაც ძირითადად, იურისტების საქმეა.

კონტრაქტის გადახედვა იმას არ ნიშნავს, რომ პრინციპულად რაიმე შეიცვლება. მაშინ, როდესაც აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა, სხვა რეგულირება არსებობდა, რაც დროთა განმავლობაში შეიცვალა. მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა სფეროს სტრუქტურაშიც. თუ მაშინ საბითუმო ბაზარი არსებობდა, დღეს აღნიშნული სტრუქტურა იმავე ფორმით აღარ არსებობს. მაშინ პირდაპირი ხელშეკრულების ფორმა არ არსებობდა, ახლა კი არსებობს.

**— ოპონენტები საუბრობენ იმაზე, რომ ახალ ხელშეკრულებაში ჩაიდება ისეთი მუხლი, რომლითაც „თელასს“ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა თავისუფლად შეეძლება, რადგანაც ეს უშუალოდ კონტრაქტში იქნება ჩადებული.**

— ეს არარეალურია, რადგანაც ვერც ერთი ხელშეკრულება ვერასოდეს ვერ დადგება კანონმდებლობაზე მაღლა. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ყველა კომპანია, რომელიც საქართველოში სამეწარმეო საქმიანობას ეწევა, მოქმედ კანონმდებლობას ემორჩილება.

**— ადრე საქართველოში გაზსაცავის მშენებლობაზე იყო საუბარი. დგას თუ არა ისევ დღის წესრიგში გაზსაცავის მშენებლობა?**

— გაზსაცავის მშენებლობაზე საუბარი აქტიურად მიმდინარეობს, თუმცა კონკრეტული ინვესტორი ამ დროისთვის არ არსებობს. საქართველოში საინვესტიციო კლიმატი ძალიან სწრაფად იცვლება, რა თქმა უნდა, უკეთესობისკენ და არ გამოვრიცხავთ, რომ უახლოეს ხანებში გაზსაცავის მშენებლობით დაინტერესება გაიზარდოს და მოლაპარაკებები რამდენიმე ინვესტორთან ვაწარმოოთ. საინვესტიციო კლიმატი ამ პროექტისათვისაც შემზადდება.

**— რა ხდება ხუდონჰესთან მიმართებაში? როდის ამოქმედდება იგი? როგორც ვიცი, ჰესის წინასაპროექტო გამოკვლევებისთვის მსოფლიო ბანკმა 3,3 მილიონი დოლარი გამოყო.**

— მსოფლიო ბანკი პროექტის ტექნიკურ-ეკონიმიკურ დასაბუთებას აფინასებს, რომელიც რამდენიმე თვეში დასრულდება და ამის შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ იმაზე ფიქრი, თუ ვინ ააშენებს ხუდონჰესს.

ხუდონჰესის მშენებლობა 1979 წელს დაიწყო და მშენებლობის შეწყვეტის მომენტისათვის (1989 წლის ივნისი) უკვე დასრულებული იყო მისასვლელი გზების მშენებლობა და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა მშენებლობის განხორციელებისთვის. დასრულებულია და მოქმედებს წყალგამტარი გვირაბი და გამყოფი ჯებირი, მომზადებულია მიწისქვეშა სამანქანო დარბაზი, დაწყებული იყო კაშხლის მშენებლობაც, რაც საერთო ჯამში, სამუშაოთა სრული მოცულობის 25 პროცენტს შეადგენდა.

ხუდონჰესის სიმძლავრე 600 მგვტ-ია, მისი მშენებლობის დასრულებისთვის სერიოზული თანხა იქნება საჭირო, რადგან 1 მგვტ-ის მშენებლობა დაახლოებით 1-1.2 მლნ. დოლარამდე ჯდება.

**— ენერგეტიკის სამინისტრო სამომავლოდ ქვეყნის ენერგობალანსში ქარის ენეგიას აქტიურად განიხილავს. რა ეტაპზეა აღნიშნული პროცესი და ზოგადად საქართველოს პირობების გათვალისწინებით, საქართველოს რა რაოდენობის ქარის ენერგიის მიღება შეუძლია?**

— სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომ განახლებადი ენერგია მაქსიმალურად იყოს ათვისებული. სამინისტროში სათანადო პოლიტიკა დამუშავდა, რომელიც პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. კანონმდებლობაშიც ცვლილებები შევიდა. განახლებად ენერგიაში შედის ასევე ჰიდრორესურსები და ჩვენ წავახალისეთ მცირე ჰესების მშენებლობა, კერძოდ, 10 მგვტ-მდე ელექტროსადგურები სრულ დერეგულებაში მოყვნენ. დერეგულაცია ეხება როგორც სატარიფო, ასევე სალიცენზიო პოლიტიკას.

უკვე გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმი კომპანია „ქარიდანთან“, რომელიც საქართველოში ქარის ჰიდროელექტოსადგურის მშენებლობას უზრუნველყოფს.

**— რა დამოკიდებულება აქვს ენერგეტიკის სამინისტროს ოსეთში გაზსადენის მშენებლობასთან და რა უარყოფითსა თუ დადებითს უნდა ველოდეთ მისი მშენებლობისგან?**

— ოსეთში გაზსადენის მშენებლობაზე აჟიოტაჟი მართლაც იყო ატეხილი, თუმცა რეალურად არაფერიც არ შენდება.

**— თუ მშენებლობა დაიწყება, რა ზომების გატარებას გეგმავს საქართველოს ხელისუფლება?**

— ამისი შეფასება ჩემი მხრიდან კორექტული არ იქნება. შეფასება სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა გააკეთონ. ერთი ქვეყნის მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნებართვოდ რაღაცის მშენებლობას სახელმწიფოს მხრიდან სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს.

**— ენერგეტიკის სამინისტრომ ქვანახშირის ელექტროსადგურის მშენებლობისთვის ინტერესთა მიღება გამოაცხადა, რომლის ვადაც უკვე ამოიწურა. აღმოჩნდა, რომ სამინისტროში განაცხადი მხოლოდ 2 კომპანიას ჰქონდა შეტანილი. თუმცა სამინისტრომ წინადადებების მიღების ვადა 31 დეკემბრამდე გადაწია. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამ კომპანიების წინადადებები სამინისტროსთვის მიუღებელი აღმოჩნდა?**

— არა. ამ ეტაპზე სამინისტრო მათ წინადადებებსაც სწავლობს და ამ პერიოდში თუ სხვა განაცხადი შემოვა, მასაც შევისწავლით. როგორც კი წინადადებების შესწავლას დავასრულებთ, სათანადო გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

**— და ბოლო შეკითხვა, გაზი გაძვირდება? საქართველოში სამომხმარებლო ტარიფი გაიზრდება?**

— ზამთარი იქნება საკმაოდ თბილი. სამომხმარებლო ტარიფის გაზრდა ან გადახედვა დღის წესრიგში არ დგას.

ესაუბრა
**მაია არაბიძე,**
„ჯი-ეიჩ-ენი“




№ 208. ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 2007 წელი.

**სოფ. საირმეში მუსლიმი ქართველები — დვალიშვილი და ტეტელაშვილია დამოწმებული. ამ სოფლის შვიდკომლიანი მაჰმადიანი ქართველების საოჯახო ენა თურქული იყო**



## ◎ სიმართლე კი ასეთია!..

# ბოლოს და ბოლოს, ვინა ხართ თქვენ, „თურქო მესხებო“?

თავად სოფ. კლდეში მაჰმადიანი ქართველების შიდი გვარია დადასტურებული და სახელდობრ: ტატიძე, ცხადაძე, ცხატაძე, ჭუაძე, ცხვედაძე, ხოლო ორი გვარი თურქული დაბოლოებით იყო წარმოდგენილი — ბიძინ ოღლი და კოჭო ოღლი. კლდეში მცხოვრები ასშვიდი მცხოვრები ქართველი სუნიტებად იყვნენ აღრიცხულნი, რომელთა სასაუბრო ენა თურქული იყო.

იდუმალის სასოფლო საზოგადოების სოფლებში — ზემო და ქვემო ომორაში აღირიცხა შემდეგი ქართული გვარები: ავალიშვილი, ლეკიშვილი, თეთრაშვილი, ღონიაშვილი, ჩეჩიაშვილი, ჩეჩეშვილი, დრინგოშვილი (ადრე ხოსაძე), გოდორაშვილი, ტოროლაშვილი, ბოძოზაშვილი, მამულაშვილი, პანაკაშვილი, მელიტიშვილი, ნადირაშვილი, ბედინოშვილი, ბახჩაჯიშვილი, გოგდარიშვილი, ჭუჭულაშვილი, თემოშვილი, თოფალიშვილი, ზოდოშვილი, რახმიაშვილი, ხოკიშვილი (ადრე ხოსაძე), მაშანაშვილი, ყულოშვილი, ბახუნიაშვილი, მუთიაშვილი, სარაჯიშვილი, თეზოშვილი, გაგალოშვილი, ლომიაშვილი, ოსმანიშვილი, ლეზგიშვილი, ბახუტიშვილი, ჭილოშვილი, მუსაშვილი, მოლაშვილი, თოფლიშვილი.

იდუმალის სასოფლო საზოგადოების სოფელ იენგიქოვში ოცდასამი კომლი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა, სადაც ქართული გვარის მატარებელი სამი მოსახლე — გიული ჰამედ ასანოღლი, ომარ ოღლი და რაჯაბ აჰმად ოღლი ჩაკიძეები ცხოვრობდნენ. სოფელ იენგიქოვის მუსლიმი ქართველების საოჯახო ენა თურქული იყო. სოფელში მცხოვრები 23 კომლიდან მხოლოდ ჩაკიძეები აღრიცხეს ქართველებად, დანარჩენები კი თათრებად ჩაწერეს.

იდუმალის სასოფლო საზოგადოების სოფ. ყამზაში ცხოვრობდა თურქულენოვანი 20 კომლი მუსლიმი ქართველი, რომელთაგანაც რვა ქართული გვარის მატარებელი იყო. ესენი იყვნენ: ჭაჭოშვილი, იბოშვილი, ჩეჩელაშვილი, ჯაყოშვილი, ტოფალაშვილი, მამოშვილი და ღონიაშვილი.

კლდის სასოფლო საზოგადოებაში შემავალი სოფ. სვირში ერთი ქართული ზეთიაშვილია დადასტურებული, დანარჩენი ქართული გვარები მითითებული არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, სოფლის მცხოვრებნი თავს ქართველებად თვლიდნენ და ოჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ.

ლეპისის სასოფლო საზოგადოებისადმი კუთვნილი სოფელი ტოლოში ქართველებით — მართლმადიდებლებით და მაჰმადიანებით იყო დასახლებული. აღწერით ქართველი მაჰმადიანების სამი ქართული გვარი — ზურაბაძე, თუთაძე და მელიქიძეა დაფიქსირებული. მუსლიმ ქართველთა საოჯახო ენა თურქულიყ იყო.

ამავე სასოფლო საზოგადოებაში მყოფ სოფ. აძგვიტაში ჩვენ საინტერესო მოვლენას ვხვდებით. ამ სოფელში ცხრამეტი კომლი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თათრებად იყვნენ აღნუსხულები. ხოლო აქ მოსახლე ქართული გვარის მატარებელი სამი პიროვნების — მეტალ ოღლის, ფარადა ჰასან ოღლის და რაშიდ მამედ ოღლი ვეფხვაძეებისათვის ეროვნების (ხალხოსნობის) აღმნიშვნელ გრაფაში „თათარი ქართველია“ მითითებული.

ვეფხვაძეების ხალხოსნობის აღმნიშვნელი ეს ერთობ უცნაური ცნება, „თათარი ქართველი“, ალბათ იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ მეკომურთა მონაცემებს მოხელეები ოჯახის უფროსების გამოკითხვის შედეგად ალადგენდნენ და ხსენებულმა პიროვნებებმა, რომლებიც, ალბათ ახალი გამაჰმადიანებულები იყვნენ, თავიანთი ხალხოსნობის აღსანიშნავად თავი ამგვარად წარუდგინეს. თათარი ხომ უბრალო ქართველი კაცის ცნობიერებაში ისლამის მიმდევარს აღნიშნავდა.

დაახლოებით მსგავს მოვლენასთან გვაქვს ჩვენ საქმე ახალციხის მაზრის ურავლის სასოფლო საზოგადოების ქართველებით, მართლმადიდებლებით და მაჰმადიანებით დასახლებულ სოფ. ჭობარეთში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაჰმადიანი ქართველების ქართული გვარები არ არის მითითებული. მუსლიმი ქართველები, ორი პიროვნება — იბრაჰიმ ოსმან ოღლი და ემინ აბდურაჰმან ოჯლი ქართველ თათრებად არიან დაფიქსირებულნი, რომელთა საოჯახო ენა თურქულ-ქართული იყო. ამავე სოფელში მცხოვრები ერთი ახლად გამაჰმადიანებული პიროვნება ქამილ დერვიშ ალა ზადე (ყოფილი პეტრეს), თათრად მოიხსენიებოდა, რომელიც ნარევი თურქულ-ქართულით მეტყველებდა.

ჩვენ ამ სიებში ვხვდებით ალმოსავლეთ სამცხის მთელ რიგ სოფლებს — აგარას, ზიკილას, ინდუსას, საყუნეთს, ორფოლას, ტატანისის, შურდოს, წრიოხს, ფერსას, რომელთა მცხოვრებნიც ქართული გვარების მითითების გარეშე ქართველებად არიან დაფიქსირებულნი. ამ სოფლების მაჰმადიანი ქართველების საოჯახო ენა — ქართულ-თურქული ან თურქულ-ქართული იყო.

1886 წლის მეკომურთა აღწერაში სამცხიდან სხვადასხვა დროს თურქეთში მიგრირებულთა სიებიც ინახება. ამ სიებიდან ჩანს, რომ ოსმალეთში გადახვეწილ მაჰმადიან ქართველთა უმეტესობა ქართული გვარის მატარებელი იყო.

იდუმალის სასოფლო საზოგადოებიდან თურქეთში გადასული სუნიტი ქართველების გვარები იყო: ბაღდადლიშვილი, ბაცაცოშვილი, ბოძაშვილი, გონიაშვილი, დარინგოშვილი (ძვ.ხოსაძე), ფაცოშვილი, გოდარიშვილი, ღვინიაშვილი და თულოშვილი.

ახალციხის მაზრის ქვაბლიანის საპოლიციო უბნის სოფლებიდან სხვადასხვა დროს თურქეთში გადასახლებულები ყველანი უკლებლივ ქართულ გვარებს ატარებდნენ.

ადიგენიდან, აფიეთიდან, ზედუბნიდან და ღორთუბნიდან თურქეთში გადახვეწილი ჩახოშვილები (ადიგენი), ჩხოკაძეები (ღორთუბანი), დუაძეები (აფიეთი) ქართველებად არიან მოხსენიებულნი.

არზნედან, ნამნიაურიდან (თბილაშვილი, თადგირიძე, ნაკაშიძე, მაშოშვილი), ჩორჩანიდან (ოგიშვილი, კუნჭულაშვილი), პატარა სმადადან (არაწაშვილი, თურმანიძე), დერცელიდან (დუნუკიძე, წულუკიძე), კეხოვანიდან (გოლოხტიძე), რატომლაც თურქებად არიან აღრიცხულები.

წრედან, ჭეჭლადან, ზანავიდან, გოდერძიდან, მლაშედან ოსმალეთში გადახვეწილი მუსლიმი ქართველები — მირიანაშვილი, აფაქიძე, დედულაძე, ქარცელაშვილი, ჩახოშვილი, ჩიკვილაძე, გვანიძე, ჩიჩვიშვილი, თურმანიძე, მაკარიძე და გვარიძე ქართველებად აღრიცხეს.

თურქეთში გასახლებული სუნიტი ქართველების ნაწილის თურქად მოხსენიება შესაძლებელია იმ ვითარებას ასახავდეს, როდესაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი ქართველების ნაწილი ისლამური ფანატიზმით მღვრიე მორევში იყო ჩაცვენილი და მათ დეეთნიზაციის პროცესს ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული.

1886 წ. 23 მაისს, 1873 წელს ჩატარებული კამერალური აღწერიდან, ნათლად ჩანს, რომ ზემო ქვაბლიანი მთელმა და ნაწილობრივ ქვემო ქვაბლიანის მოსახლეობამ, აღწერის დროს თავი ქართველებად ჩააწერინა და თავიანთი ქართული გვარებიც მიუთითა. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ისინი იმ ქვაბლიანელების წინაპრები იყვნენ, რომლებსაც მე-19 საუკუნის დასასრულისათვის და მე-20 საუკუნის დასაწყისში ეროვნული ცნობიერება თითქმის მთლიანად (განსაკუთრებით ქვემო ქვაბლიანში) დაკარგული ჰქონდათ, გამოირჩეოდნენ უკიდურესი ფანატიზმით და 1918-1919 წლების ანტიქართული გამოხტომების დროს ყველაზე მეტი აქტიურობა გამოამჟღავნეს.

ახალციხის მაზრის ქვაბლიანის საპოლიციო უბნის ადიგენის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ ჭეჭლაში სამოცდაორი კომლი მუსლიმი ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც ატარებდნენ შემდეგ ქართულ გვარებს: კორძელაშვილი, მატოშვილი, თულაბერიძე, დედულაძე, ტოსიშვილი, ქურდიშვილი, ჩუნთოშვილი, ფიდოშვილი, ჭილაძე. მცხოვრებთა საოჯახო ენა თურქული იყო.

ამავე საზოგადოების სოფ. ჩორჩანის ცხრამეტ კომლიდან მუსლიმ ქართველებში გავრცელებული იყო გვარები: ბერიძე, კოშიძე, კუნჭულაშვილი, ოხიშვილი, ჯინჯალაძე, ბუზბარეთიშვილი, დარანიძე, ჩალმაძე, ჭოლოშვილი, ბათნიძე, გოგობერიძე. მათი საოჯახრ ენა თურქული იყო.

სოფელ დერცელში ცხოვრობდნენ — მღებორაშვილები, დუნუკიძეები, წულაფერიძეები, მარკიძეები, კეშოშვილები, მგელამძეები, ჩხაიძეები, ჯავახიშვილები, და წულუკიძეები. ჩვიდმეტკომლიანი მუსლიმი ქართველები თურქულ ენაზე საუბრობდნენ.

ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფ. მლაშე — გვარიძეების, დასტურიშვილების, თურმანიძეების, სირაძეების, დემურიშვილების, კოტობანიძეების და გრძელიძეების ქართული გვარების მატარებელი მცხოვრებლებით იყო დასახლებული. ოცდათხუთმეტი კომლი სუნიტი ქართველი თურქულ ენას ფლობდა.

ამავე სასოფლო საზოგადოების სოფ.ზანავში შვიდი ქართული გვარი — ბესოშვილი, ჩახოშვილი, ჩივილაშვილი, ჩივილაძე, ვარდიძე, ზიეკიძე და მარკოზაშვილია აღნუსხული. სოფლის ოცდათექვსმეტკომლიანი მუსლიმი ქართველები თურქულენოვანნი იყვნენ.

ქვაბლიანის საპოლიციო უბნის ადიგენის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფ.კეხოვანში მცხოვრებ თვრამეტ კომლ მაჰმადიან ქართველებში გავრცელებული იყო შემდეგი ქართული გვარები: გოლოხტიძე, დარჩიძე, პაპიძე და შავაძე. ამ წყაროს მიხედვით, აქაც მუსლიმი ქართველები თურქულენოვანები იყვნენ.

სოფ. საირმეში მუსლიმი ქართველები — დვალიშვილი და ტეტელაშვილია დამოწმებული. ამ სოფლის შვიდკომლიანი მაჰმადიანი ქართველების საოჯახო ენა თურქული იყო.

უტყისუბანში — დემოშვილები, შამანაძეები და მგელაძეები ცხოვრობდნენ. ამ სოფელში მცხოვრები თორმეტი კომლი სუნიტი ქართველი თურქულ ენაზე მეტყველებდა.

სოფელ წრეში მცხოვრები ოცდაორკომლიან მუსლიმ ქართველებში ოთხი ქართული გვარი ფიქსირდება — ლასურიძე, მირიანაშვილი, ანანიძე, ბერიძე. ამ სოფლის მუსლიმი ქართველების საოჯახო ენა თურქული იყო.

**ზურაბ ცინცაძე**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 198-207.**

## ◎ ინფორმაცია

### ხელისუფლებამ თავის დაფინანსებას მიხედოს

**ახალი** მემარჯვენეების წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე აცხადებს, რომ „ხელისუფლება ძალიან შეშინებულია იმ ყველაფრით, რაც დღეს საქართველოში ხდება და მისი ყველა გადაწყვეტილება ამ შიშს უკავშირდება“.

კაციტაძის თქმით, ხელისუფლების მხრიდან გაჟღერებული ინიციატივა, რომ, შესაძლოა, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წესის გადახედვა მოხდეს, მას შემდეგ გაკეთდა, რაც ბადრი პატარკაციშვილმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს დააფინანსებს.

„ხელისუფლებამ მიხედოს თავის დაფინანსებას, რომელიც ძირითადად ქურდებისგან და შავი ფულით ფინანსდება“. ამასთან, იგი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ეს კანონი მიღებულ იქნა რამდენიმე თვის წინათ და ახლა შეცვლაზე საუბარი ხელისუფლების მხრიდან „უბრალოდ უსუსური პოზიციის დადასტურებაა“.

კაციტაძის თქმით, უნდა გამკაცრდეს კონტროლი შავი ფულით დაფინანსებაზე, რაც, მისი თქმით, ხელისუფლებას ასეთი დაფინანსებაც ძალიან ბევრი აქვს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### მთავრობა ოპოზიციის დაფინანსებით შეშინებულია

**პარტიების** დაფინანსების წესთან დაკავშირებით, შესაძლოა, ის პრინციპი გადაიხედოს, რომლის თანახმადაც ერთ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს რამდენიმე პარტიის დაფინანსება შეუძლია.

საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ერთ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შეუძლია დააფინანსოს რამდენიმე პარტია, თუმცა არსებობს გარკვეული ზღვარი.

მათი თქმით, კანონებში ეს პრინციპი ჩადებულია იმ მიზნით, რომ პოლიტიკური სპექტრის მონოპოლიზების შესაძლებლობა გამორიცხული იყოს.

უმრავლესობაში არ გამორიცხავენ, რომ პარტიების დაფინანსების წესთან დაკავშირებით ქართულ კანონმდებლობაში სწორედ ეს საკითხი გადაიხედოს.

საქართველოს კანონმდებლობით, პარტიის დაფინანსება წელიწადში ფიზიკურ პირს 30 ათასი ლარით შეუძლია, იურიდიულ პირს კი — 100 ათასით. კანონმდებლობა არ აწესებს შეზღუდვას, რომ ასეთი პრინციპით მსურველმა იმდენი პარტია დააფინანსონ, რამდენიც სურთ.

არსებული ვერსიით, პარტიების დაფინანსების წესის შეცვლის საკითხი მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა გაერთიანებული ოპოზიციის დაფინანსების გადაწყვეტილება მიიღო.

**ინტერპრესნიუსი**

№ 208. ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 2007 წელი.

№ 208. ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 2007 წელი.

● პურზე ფასების მომატება მარტო მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის გაძვირებით არ უნდა აიხსნას. ამ მიზეზებზე მთავრობა არა მარტო უნდა ფიქრობდეს, შესაბამისი დასკვნებიც უნდა გამოჰქონდეს


ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ პურის ფასი კვლავ იმატებს

# შარშან, ამ დროს, პური 50 თეთრი ღირდა, ახლა კი...

**ექსპერტთა აზრით, პურზე ფასის ზრდის გამომწვევი მიზეზი მრავალია. მის გამოცხობას ხომ მარტო ხორბალი კი არა, ბევრი სხვა რამეც სჭირდება: წყალი, მარილი, საფუარი და, რაც მთავარია, გაზი ან დენი. საბოლოო ანგარიშით რა მივიღეთ? გამოდის, რომ პურის ყველა კომპონენტი საგრძნობლად გაძვირდა. თავისთავად ცხადია, ფასთა სხვაობა გამომცხვარი პურის ფასში უნდა აისახოს, რაც ხდება კიდეც.**

ექსპერტების აზრით, რაც არაერთხელ აღნიშნულა „საქართველოს რესპუბლიკაშიც", საქართველო შეიძლება გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდეს მაშინ, როცა ქვეყნებში, საიდანაც ხორბალი შემოგვაქვს, დაბალ მოსავალს მიიღებენო. ამინდის ჭირვეულებისგანაც ხომ არავინ არის დაზღვეული? წლეულს, მსოფლიოში მარცვლის, კერძოდ, კი ხორბლის, მართლაც ცუდი მოსავალია.

საქართველოში ხორბალი არა ერთ და ორ კომპანიას შემოაქვს. ერთ-ერთი მათგანია შპს „აგრიკომი" (დირექტორი – კონსტანტინე ოსიპოვი), რომელმაც 2006 წელს 60 ათასი ტონა ხორბალი შემოიტანა. როგორც კომპანიის ანალიტიკის განყოფილების უფროსმა **ქეთევან კუბლაშვილმა** საუბრისას აღნიშნა, სასურსათო ხორბალი ბევრ ფირმას შემოაქვს, მაგრამ მათი ფირმა ერთადერთია, რომელსაც მხოლოდ რეალიზაციის მიზნით შემოაქვს თვეში დაახლოებით 5 ათასი ტონა ხორბალი.

რუსეთი ჩვენი მთავარი მომწოდებელია, თანაც ყველაზე ხარისხიანი და იაფიანი პარტნიორია. უკრაინას და ყაზახეთსაც უკვე ორი წელია ექსპორტი შეწყვეტილი აქვთ.

**– ქალბატონო ქეთევან, რუსეთ-საქართველოს შორის არსებულმა ბოლოდროინდელმა ურთიერთობამ რა გავლენა მოახდინა ფირმის საქმიანობაზე?**

– გაუგებრობა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ უმალ აღმოიფხვრა, ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ურთიერთობას ჩვენს კომპანიის საქმიანობაზე უარყოფითი გავლენა ნამდვილად არ მოუხდენია.

საერთოდ კი მინდა გითხრათ, რომ ხორბალთან დაკავშირებით მსოფლიოში მართლაც რთული ვითარებაა, რადგან ფასი თითქმის ორჯერ გაიზარდა. შარშან თუ ერთი ტონა 200 დოლარი ღირდა, წლეულს 400 დოლარი გახდა, სადღეისოდ კი უკვე 450 დოლარამდე ავარდა ფასი. მაგრამ, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ფასი ყოველდღიურადაც შეიძლება გაიზარდოს.



რუსეთმა ადგილობრივი ბაზრის დაცვის მიზნით სეზონური საექსპორტო გადასახადი დააწესა, ტონაზე – 22 ევრო, ანუ 35 დოლარით გაზარდა ტონა ხორბლის ფასი.

**– ქალბატონო ქეთევან, მოგეხსენებათ, პურის ფასს ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც ის ფაქტი, რომ ქვეყანაში 2 მილიონ 200 ათასი ადამიანი საპრეზიდენტო სუბსიდიას იღებს, ნათლად მიგვანიშნებს თუ როგორ უჭირს ჩვენს ხალხს, ამიტომ მინდა გკითხოთ, მოსალოდნელია პურის ფასის კიდევ გაზრდა?**

– სამწუხაროდ, მოსალოდნელია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამისთვის ხორბლის მსოფლიო ფასს გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს. და იცით რატომ? ერთ ცალ გამომცხვარ პურში ხორბლის ფასი 20 პროცენტია, ანუ დაახლოებით 3 თეთრი, დანარჩენი – მისი შემადგენლობა და გადასახადებია, რასაც პურის მცხობელები იხდიან. აქ უკვე ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს ჩავერიოთ, რადგან ეს მთავრობის გადასაწყვეტია.

**– ხარისხს როგორ ამოწმებთ? გახსოვთ, ალბათ, ამ რამდენიმე წლის წინათ დაავადებული ხორბალი რომ შემოიტანა რომელიღაც ფირმამ. ამ ფაქტზე დღემდე არ შეწყვეტილა კამათი.**

– დიახ, მახსოვს. მაგრამ ჩვენთან ეს არ შეიძლება მოხდეს, რადგან საკუთარი, კარგად აღჭურვილი ლაბორატორია გვაქვს. ნიმუშებს წინასწარ გვიგზავნიან შესამოწმებლად, მხოლოდ ამის შემდეგ ვაფორმებთ გარიგებას.

**– ხორბლის რა მარაგია დღეს საქართველოში?**

– დაახლოებით 50 ათასი ტონა, ამას ემატება ტვირთები, რომლებიც გზაშია. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს დიდი ციფრია? ჩვენი ქვეყანა ერთ თვეში დაახლოებით 40 ათას ტონას მოიხმარს. ამდენად, დასკვნის გამოტანა თავად შეგიძლიათ.

* * *

ამ საუბარმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა ადგილობრივი ხორბლის წარმოების გაზრდის აუცილებლობაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პეტრე ცისკარიშვილის თქმით, არა მარტო ხორბლის ნათესი ფართობები უნდა გაიზარდოს, არამედ ჰექტარობრივი მოსავლიანობაც. თუ ახლა ჰექტარზე 1-1,5 ტონას ვაწარმოებთ, ახალი პროექტის თანახმად, რომლის განხორციელებასაც სამინისტრო გეგმავს, ჰექტარობრივი მოსავლიანობა 3,5-4 ტონამდე შეიძლება გაიზარდოს. ამისათვის 6,2 მილიონი ლარიც ყოფილა გამოყოფილი. სხვათა შორის, ჩვენთან ჰექტარზე 11-13 ცენტნერი ხორბალი მოჰყავთ, ისრაელში კი, ქვიშიან მიწაზე – 60 ცენტნერი.

ურწმუნო თომა ნამდვილად არ გახლავართ, მაგრამ ამ გამოყოფილი 6 მილიონზე მეტი ლარის მიზნობრივ ხარჯვაშიც რატომღაც ეჭვი მეპარება. რატომ? **ექსპერტთა დასკვნით, სახელმწიფოს არანაირი აგრარული პოლიტიკა არ გააჩნია, შესაბამისად კი, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა, როგორც დარგი, დღითი დღე ნადგურდება. მთავარი, ალბათ, მაინც ის არის, რომ აგრარულ ქვეყნად წოდებულ საქართველოში აგრარული სექტორის განვითარება არაპრიორიტეტულად მიაჩნიათ. ასე რომ, პურზე ფასების მომატება მარტო მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასის გაძვირებით არ უნდა აიხსნას. ამ მიზეზებზე მთავრობა არა მარტო უნდა ფიქრობდეს, შესაბამისი დასკვნებიც უნდა გამოჰქონდეს.**

ეკონომიკურად განვითარებულმა ქვეყნების ეკონომისტებმა, პოლიტიკოსებმა ჩვენზე ცუდად როდი იციან, რომ პური უფრო იაფია, ვიდრე ღვინო, ჩაი, ციტრუსი და სხვა. არც მათ უჭირთ სხვა ქვეყანაში მისი შეძენა და შემოტანა, მაგრამ იმედს მთლიანად ექსპორტზე არ ამყარებენ, ამიტომ აწარმოებენ მილიონობით ტონა ხორბალს, რაც უფრო ძვირიც უჯდებათ, მაგრამ მაინც ასე იქცევიან, რადგან იციან, რომ ამ პროდუქტებისადმი ჩვეულებრივი საქონლის საზომით მიდგომა ერთობ სახიფათო შეიძლება იყოს.

**ნაზი იმნაიშვილი**

◎ ენერგომომწოდებლები

# არა ხოლო რუსეთის ნავთობითა ერთიითა...

**საქართველომ, აზერბაიჯანმა, უკრაინამ, ლიტვამ და პოლონეთმა ვილნიუსში ხელი მოაწერეს ნავთობსადენის მშენებლობის დასრულების გეგმას, რაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს საშუალებას მისცემს ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული რუსეთიდან ნავთობის მიწოდებაზე.**

ხუთმა ქვეყანამ მოილაპარაკა კონსორციუმის ჩამოყალიბების თაობაზე, რომელიც უკრაინულ მილსადენს ოდესა-ბროდის ბოლომდე მიიყვანს იმ მიზნით, რომ მისი ბოლო პუნქტი პოლონეთის ქალაქი პლოცკი გახდება. აქედან ყაზახეთის ნავთობი საქართველოს ტერიტორიიდან შავი ზღვის გავლით ბალტიის სანაპიროზე პოლონეთის ქალაქ გდანსკში ან ლიტვაში მოხვდება.



– ეს არის ისტორიული მომენტი, როცა ყაზახეთის ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირების პროექტმა პოლიტიკიდან პრაქტიკულ სფეროში გადაინაცვლა, – განაცხადა ხელმოწერის საზეიმო ცერემონიაზე უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ზოგიერთი ანალიტიკოსი ეჭვს გამოთქვამს, ნავთობსადენის გაფართოების გეგმა მთლად ადვილი განსახორციელებელი არ იქნებაო, რისი მიზეზი კასპიის რეგიონში მოპოვებული ნავთობისთვის გაჩაღებული დიდი ბრძოლაა, ასევე ის, რომ ამას დიდ კონკურენციას გაუწევს რუსეთიდან ნავთობის მიწოდება.

ოდესა-პლოცკის ნავთობსადენი შეიძლება გახდეს ნავთობის მიღების ალტერნატიული წყარო იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დიდად არიან დამოკიდებულნი რუსეთიდან მის მიწოდებაზე, ვინაიდან მათთვის ხელმისაწვდომს გახდის ნავთობის მიღებას როგორც აზერბაიჯანიდან, სადაც ნავთობმოპოვება ბოლო დროს სწრაფი ტემპით იზრდება, ასევე ყაზახეთიდან.

აღსანიშნავია, რომ ნავთობსადენის დასრულების თაობაზე გეგმას ხელი მოაწერეს მაშინ, როცა რუსეთი დაიმუქრა, რომ შეწყვეტდნენ უკრაინისთვის ნავთობის მიწოდებას. აქვე იმასაც დავძენთ, რომ თავად უკრაინა ამ დავალიანებას მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებს.

ნავთობის მიღების ალტერნატიული წყაროების გამოძებნას განსაკუთრებით აქტიურად ლიტვა ცდილობს. დიდი ხნის მანძილზე ნავთობს იგი მილსადენ „დრუჟბას" განშტოებიდან იღებდა, რომლითაც რუსეთის ნავთობი ევროპაში იგზავნებოდა. მაგრამ შარშან ეს განშტოება გათიშეს, რუსეთის განმარტებით, „ტექნიკური მიზეზებით". ახლა კი ლიტვა იძულებულია, ნავთობი ქვეყანაში ზღვით შეიტანოს.

შავი ზღვის ნავსადგურ ოდესიდან დასავლეთ უკრაინის ქალაქ ბროდიმდე ნავთობსადენი ახლა იმის საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული. იგი 2001 წელს ააშენეს კასპიის ნავთობის ჩრდილოეთში ტრანსპორტირების მიზნით, თუმცა ეს გეგმა შეუსრულებელი დარჩა. 2004 წელს მიწოდებათა მიმართულება შეიცვალა და მილსადენმა რუსეთის ნავთობის ქაჩვა სამხრეთის მიმართულებით – ნავთობსადენ „დრუჟბადან" ოდესიდან გამავალი ტანკერებისკენ დაიწყო.

უკრაინული ფირმა UPESCO-ს აღმასრულებელი დირექტორის სერგეი კოიუნის აზრით, კასპიის რეგიონიდან ნავთობის მიწოდების სიმწირე კვლავაც პრობლემად რჩება. „აზერბაიჯანს... არ შეუძლია ნავთობსადენის ასავსებად საჭირო ნავთობის წარმოება, – აცხადებს იგი, – გასაჭირის ძირითადი მიზანი კი ის არის, რომ ყაზახეთი ამ პოლიტიკური ალიანსის წევრი არ გახლავთ".

* * *

**საქართველოს** ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადეს, რომ ნავთობსადენის დასრულების გეგმის დეტალები – კონკრეტული მარშრუტი, ის სარგებელი, რაც თითოეულ მონაწილე ქვეყანას შეხვდება და მრავალი სხვა, ამჟამად სამუშაო პროცესში ზუსტდება და, როგორც დაგვპირდნენ, საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის შემდეგ მათ ჩვენც გაგვანდობენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

# წარსული

● ერთ საუკუნეში სამი სამოქალაქო ომი! შეუძლებელია, რომ ამას სიღრმისეული მიზეზები არ ჰქონდეს, ამოუცნობი იმიტომ, რომ რუსეთის ისტორიას შეჰყურებენ მხოლოდ სოციალური ოკულარებით, თანაც დასავლური გამოცდილებისკენ გახედვით



**⊙ სხვა გაზეთებიდან**

*ახლოვდება მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი შემაჯანჯღარებელი და ამფორიაქებელი მოვლენის – ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 90 წლისთავი. რუსეთსა და, შესაბამისად, რუსეთულ პრესაში დამოკიდებულება ამ თარიღისადმი ერთგვაროვანი არ არის და ასეც უნდა იყოს ამჟამინდელი „კონიუნქტურის" გათვალისწინებით. ფაქტი ის არის, რომ იქაური პრესტიჟული გაზეთები სხვადასხვაგვარად, მაგრამ ცხოველი და შეუნელებელი ინტერესით ეკიდებიან 1917 წლის ოქტომბრის „მარადიულ" თემას...*

*საქართველოც მონაწილეა 70-წლიანი საბჭოური პერიოდისა. ეს ჩვენი ისტორიის უცილობელი ნაწილიცაა და ხანა იგი, ავად თუ კარგად, ჩვენც გავიარეთ... ამიტომაც, ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვისაც ეგებ საგულისყურო გამოდგეს წინამდებარე ნარკვევი...*

## ვინ მოაბიჯებს მანდ მარცხენით?

### შედგება კი მეოთხე რუსეთი?

საფრანგეთის პარლამენტში წარმოშობილი პოლიტიკური ცნებები „მემარცხენეები" და „მემარჯვენეები" მთელი მე-20 საუკუნე აწვალებდნენ რუსეთს თავიანთი არაერთმნიშვნელოვანებით. ბოლშევიკთა ახირებით საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრდა მემარცხენეთა მამაცური იერი და მემარჯვენეთა ცუდი სახე. ეს სტერეოტიპი იმდენად ძლიერი იყო, რომ ვინმე გარდაქმნის არქიტექტორმა შესაფერისი იმიჯისათვის მონათლა კიდევაც თავისი სამუშაოთა მწარმოებლები „მემარცხენეებად", თუმცა საყოველთაოდ მიღებულ პოლიტიკურ კოორდინატთა სისტემაში ისინი მაგარი მემარჯვენეები იყვნენ.

სამუშაოთა მწარმოებლების შთამომავლებმაც სახელად მემარჯვენე ძალთა კავშირი დაირქვეს. ოღონდ ფეხმოკიდებული ცნებების გადასხვაფერების უცნაური გარდაქმნითი ცდა გვაიძულებს იმათი არსის უფრო ყურადღებით დაკვირვებას. ამისკენვე გვაგულიანებს კითხვა, რომელსაც – და ეს განსაცვიფრებელია! – ყურადღებას არ აქცევენ: რატომ უჭერენ ასე მხურვალედ მხარს პოლიტიკური მემარჯვენეები მემარცხენეობით ხელოვნებას?

საერთოდ, ვითომ რატომ არიან მემარცხენეები კარგები, მემარჯვენეები კი – ცუდები? რატომ გაჰყვიროდა ასე გაშმაგებით ვლადიმერ მაიაკოვსკი: „მანდ ვინ მოაბიჯებს მარჯვენით? მარცხენით! მარცხენით! მარცხენით!"

შეგახსენებთ კიდევ ერთ პარადოქსს. რატომაა, რომ ისეთი ლი-



ტერატურულ-პოლიტიკური დოკუმენტები, როგორიც არის ა.ჟდანოვის მოხსენება „ჟურნალების „ზვეზდასა" და „ლენინგრადის" თაობაზე" და ა. იაკოვლევის სტატია „ისტორიზმის წინააღმდეგ", ერთნაირადაა წარსულის უარყოფის პათოსით გამსჭვალული? ჟდანოვი ამბობდა: „ძველი პეტერბურგი უთამაშებთ თვალწინ. ჩვენ კი საბჭოური ლენინგრადი გვიყვარს. ჩვენ უკვე აღარა ვართ ის რუსები, 1917 წლამდე რომ ვიყავით და რუსეთიც უკვე ის აღარაა". იგივეა, თითქმის სიტყვა-სიტყვით, იაკოვლევთანაც, რომელიც ანადგურებდა ყველას, ვინც უმღეროდა რუსეთის წარსულს. მართალია, არა პეტერბურგულს, არამედ გლეხურს. მაშ, რა გამოდის – იგივეობა ჟდანოვსა და იაკოვლევს შორის? თუ ის გამოცანა, რომ მემარცხენე (მაიაკოვსკის მიხედვით) პეტერბურგული წარსული, ვერცხლის საუკუნედ მონათლული, უჩინრად უპირისპირდება უბრალო ხალხის მემარჯვენე (იაკოვლევის მიხედვით) წარსულს?

### წინასწარმეტყველი ალექსანდრე ბლოკი

**ტყუილად** კი არ არის, რომ რუსეთის ისტორიის ირგვლივ ვნებები დუღან და გადმოდუღან: წარსულისათვის ბრძოლა – ეს ქვეყნის მომავლისათვის შეტაკებაც გახლავთ. უფრო რთულადაა რუსეთის ისტორიული მოძრაობის გაგების საქმე, რუსეთისა, რომელიც არაერთხელ იცვლიდა სახელმწიფოებრივი ყოფიერების ფორმას, – იქნებოდა ეს მონარქია, საბჭოები თუ დემოკრატიული ეტაპი. მარქსისტული ხუთწევრას აღიარებასა ან – რაც ერთი და იგივეა – განკიცხვაზე დაფუძნებული ამ ცვლილებათა პოლიტიზებული შეფასებანი ვერ ახსნიან სამოქალაქო ომის ქვეშეცნეულ მიზნებს და ამ ომს წითლებისა და თეთრების ბრძოლაზე დაიყვანენ. ეგ იმიტომ, რომ შეურიგებელი მტრები, კომისრები და ოფიცრები ერთი სოციალური გარემოდან – რაზნოჩინცულიდან იყვნენ გამოსულები.

ასეთი შეფასებები ვერ გვაძლევენ გასაღებს მეორე სამოქალაქო ომის გასაგებადაც, რომელიც ისტორიაში სტალინური წმენდების სახელწოდებით შევიდა, აგრეთვე მესამისა, გარეგნულად უფრო რბილისა, მაგრამ ფსიქოლოგიურად არანაკლებ მძვინვარესი, გარდაქმნად რომაა ცნობილი. ლამაზი ფორმულა თავისი შვილების შემსანსლავი რევოლუციის შესახებ არაფერს არ ხსნის. ჰოდა, ძალაუფლებისათვის სასახლის კარზე ბრძოლამდე სტალინური რეპრესიების დაყვანა არის ქარაფშუტობა, რომელიც არ ითვალისწინებს რეპრესიათა თანმდევ ძირეულ იდეურ ცვლილებებს. გარდაქმნას რაც შეეხება, აქ სულაც სკეპ-

ის სათავეში ბანალური ჩხუბით დაიწყო ყველაფერი.

ერთ საუკუნეში სამი სამოქალაქო ომი! შეუძლებელია, რომ ამას სიღრმისეული მიზეზები არ ჰქონდეს, ამოუცნობი იმიტომ, რომ რუსეთის ისტორიას შეჰყურებენ მხოლოდ სოციალური ოკულარებით, თანაც დასავლური გამოცდილებისკენ გახედვით. ავიწყდებათ პუშკინი: „გაიგეთ ისიც, რომ რუსეთს არასოდეს და არაფერი არ ჰქონია საერთო დანარჩენ ევროპასთან; რომ იმისი ისტორია სხვა აზრს, სხვა ფორმას მოითხოვს".

დამატებით ხელს გვიშლის ისეთი მძლავრი ფაქტორიც, როგორიც „ტკივილებისა და წყენების ჩამონათვალია", უთუოდ რომ რჩება შიგა კონფლიქტების შემდეგ. ამ კომპლექსის ამოძირკვა უფრო ძნელია, ვიდრე მარქსისტული შეგნებისა. ერთნი სტალინს სწყევლიან, მეორენი – ხრუშჩოვს, მესამენი – ელცინს, მეოთხენი შურისმგებლურად ლამობენ მავზოლეუმიდან ლენინის ცხედრის გამოთრევას. ასეთ უწესრიგობაში ობიექტურობისათვის აბა ვისა სცალია? სამაგიეროდ „ცივი გონებით დაკვირვებისათვის" „გულის ნაღვლიანი ნიშნების" დაცხრობით, შესაძლებელია წარსულის გარკვევა და ხვალის დღის დანახვა.

მე-20 საუკუნის რუსეთის დრამის საწყისების ბუნდოვნად გამოცნობა დაიწყო ალექსანდრე ბლოკმა, რომელმაც 1908 წელს დაწერა: „არის ერთ მხარეს ასნახევარი მილიონი და მეორე მხარეს რამდენიმე ასი ათასი; ადამიანები, რომელთაც ყველაზე მთავარში არ ესმით ერთმანეთისა". მერე კიდევ: „ჩემთვის ერთი რამ ნათელია: არის უფსკრული, გადაულახავი საზღვარი ინტელიგენციასა და ხალხს შორის. ორი გავარვარებული შურისძიება ეხეთქება ერთიმეორეს".

ამ თემისადმი ბლოკის ინტერესი არ ნელდებოდა და თავის ჩანაწერებში ციტატად მოჰყავდა რიმსკი-კორსაკოვის წრის პროგნოზი ნიკოლოზ მეორისთვის (1916 წ.): „სრული ანარქიისა და საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის შემდეგ მომავალი რუსეთის ჰორიზონტზე შეიძლება დანახვა თვითმპყრობელური, მაგრამ უკვე გლეხური ძალაუფლების აღდგენისა ახალი მეფის სახით, პუგაჩოვი იქნება თუ რაზინი". ჩანაწერებიდან ნათელია: პოეტი იზიარებდე ასეთ თვალსაზრისს.

ისე, დიდი ხანია შემჩნეულია, რომ პოეტების თვალის ახელა პოლიტიკოსთა პროგნოზებზე ხშირად ახდება ხოლმე. ზოგჯერაც განჭვრეტები ერთბაშად რამდენიმე პოეტურ გენიას ეწვევიან. თითქმის იმავე წლებში მ. ვოლოშინი წერდა:

ეკლესიის ანათემების
ბორკილთა
დაღეწვით
კუბოებიდან თანდათან
აღსდგნენ
მაზეპები, რაზინები და
პუგაჩოვები –
სხვადასხვა საუკუნის
საფრთხობელები.

ოღონდ ინტელიგენციისა და ხალხის დაპირისპირების შესახებ გამოთქმული წინასწარმეტყველება იყო სწორედ ბუნდოვანი ვარაუდი, უფრო კი პოეტური სახე. პოეტებმა განჭვრიტეს მერმისი, მაგრამ ვერ შეძლეს იმათი მტანჯველი შეშფოთების რაციონალური საფუძვლის ჩაწვდომა. შემდგომ ეს იმათ მაგიერ გააკეთეს მეცნიერულაზროვნებიანმა ადამიანებმა. ამასთან დაკავშირებით მიიპყრო ყურადღება ვ.სობოლევის შესანიშნავმა მონოგრაფიამ რუსულ ეთნოკულტურულ სისტემაზე (რუსული საბიოგრაფიო ინსტიტუტი, 2007). მგონი პირველად არის დასრულებული ფორმით მოცემული ბლოკის წინასწარმეტყველური მიხვედრის გაშიფვრა – პეტრემდელი და პეტრეს რუსეთის, აგრეთვე შავი და წითელი რაზმების საუკუნოებრივი დაპირისპირების მიმოხილვის სახით. რასაკვირველია, ამ ცნებებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ცნობილ პოლიტიკურ ფერებთან – ისინი ძველ დროში გაჩნდნენ. თუმცა შეცვლილი ფორმით, ანალოგიებში, შავი და წითელი რაზმები, პეტრეელები და პეტრემდელები აქამდე შემორჩნენ, განაგრძობენ რა სოციალური თეორიების ზემოთ რუსული ისტორიის წინ წაწევას და პირველ ადგილზე აყენებენ რა არა საკუთრების საკითხს, არამედ ძალაუფლების მუდმივ საკითხს.

**ანატოლი სალუცკი,**

**ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА**

**(გაგრძელება იქნება)**

**⊙ ინფორმაცია**

### ცხინვალი თბილისსა და ეუთოს მისიას ადანაშაულებს

**შერეული** საკონტროლო კომისიის სამხრეთ ოსეთის მხარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვაში, ხოლო ეუთოს მისიას ტენდენციურობაში ადანაშაულებს. ამის შესახებ თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დე ფაქტო სახელმწიფო კომიტეტი იუწყება.

ცხინვალის სამშვიდობო ბატალიონი, ქართული ბატალიონისა და ეუთოს მისიის წარმომადგენლების 26 ოქტომბრის ინციდენტის მონიტორინგში ჩართვაზე უარს აპროტესტებს. დე ფაქტო ხელისუფლება უკმაყოფილოა იმით, რომ ამ ინციდენტის შესახებ ინფორმაცია ეუთოს მისიის ანგარიშში არ მოხვდება, რომელსაც მისია ვენაში, ეუთოს შტაბბინაში აგზავნის.

„ეუთოს მისიამ მონიტორინგში ჩართავზე უარი იმ მოტივით თქვა, რომ მასში ქართული მხარე არ მონაწილეობს, თუმცა ეუთოს მისიას სამხრეთოსური მხარის მონაწილეობის გარეშე და დამოუკიდებლად მონიტორინგი არაერთხელ ჩაუტარებია", – ნათქვამია შსკ-ს სამხრეთოსური ნაწილის სპეციალურ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

### შამბას სტალინური რეპრესიები გაახსენდა

**გუშინ** რუსეთის ფედერაციაში სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნის დღეს აღნიშნავენ. აღნიშნულ თარიღს აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ეხმაურება და აცხადებს, რომ სტალინურ-ბერიულმა რეჟიმმა ყველაზე მეტად აფხაზეთი დააზარალა.

– რეპრესიები აფხაზეთის მოსახლეობის ყველა ფენას შეეხო, ხოლო აფხაზური პოლიტიკური ელიტა და ინტელიგენცია კი მთლიანად გაანადგურა, – აცხადებს შამბა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგეი შამბა ასევე ამბობს, რომ ყოველივე მიზანმიმართულად და წინასწარ მოფიქრებულად გაკეთდა. „მიზანი იყო ის, რომ ინტელიგენციისა და ხელმძღვანელობის გარეშე დაეტოვებინათ ხალხი, რათა მათ დასაყრენი გამოსცლოდათ", – ამბობს შამბა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

● ე. ხარაძემ ნახევარ საუკუნეზე ბევრად მეტხანს უხელმძღვანელა ობსერვატორიასაც და ასტრონომიის კათედრასაც. ეს კი მოიცავდა საკითხთა ზღვას



ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ აკადემიკოსი ევგენი ხარაძე — 100

# ზეცის მესაიდუმლე

1907 წლის 31 ოქტომბერს საქართველოში დაიბადა ადამიანი, რომელმაც, ხატოვნად თუ ვიტყვით, მხოლოდ ბავშვობა გაატარა დედამიწაზე, მთელი შემდეგი, აზრით გასხივოსნებული სიცოცხლის მანძილზე კი ზეცაში იყო, მარად მოციმციმე ვარსკვლავებს შორის. ეს პიროვნება გახლავთ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, დიდი სახელმწიფოებრივი მასშტაბის მოღვაწე ევგენი ხარაძე, რომლის დაბადებიდან მეასე წლისთავს დღეს მთელი საქართველო, მსოფლიოს ასტრონომიულ საზოგადოებრიობასთან ერთად დიდი სიყვარულითა და მოწიწებით აღნიშნავს.

საზოგადოებაზე ცალკეულ მეცნიერთა ზემოქმედების ხარისხის დიაპაზონი საოცრად ვრცელია. მრავალ პირველხარისხოვან მკვლევარს მისივე დარგის მოღვაწეთა ვიწრო წრე თუ იცნობს. რაღაც სხვა მასშტაბი, სულის თვისებები თუ მისი ნაღვაწის განსაკუთრებული ხასიათი უნდა გამოარჩევდეს მეცნიერს, რომ მას იცნობდეს და სიყვარულით მოსავდეს მთელი ერი. ასეთი პიროვნებანი თავისი ქვეყნის სიამაყენი, მეცნიერების კორიფენი ხდებიან. XX საუკუნეს ჰყავს ამგვარ მოღვაწეთა ბრწყინვალე ამალა და ერთ-ერთი ძვირფასი სახელი მასში არის ევგენი ხარაძე.



აკადემიკოსები ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე და ვიქტორ ამბარცუმიანი

ე. ხარაძის მართლაც განუმეორებელი შარავანდედი ნაწილობრივ შეიძლება აიხსნებოდეს იმ უდავოდ გამორჩეული ადგილითაც, რომელიც თვით ასტრონომიას უკავია მეცნიერებათა იერარქიაში. ესაა შემოქმედებითი კვლევის განსაკუთრებული სფერო, რომელიც მნიშვნელობით მსოფლიო აზრის განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედია, ცნობიერებაზე ზემოქმედების უნარით და მისადმი უფართოესი მასების ყურადღების სიმძაფრით კი ღირსეულ მეტოქეობას უწევს ადამიანური შემოქმედების ყველაზე ფუნდამენტურ დარგებს: ფილოსოფიას, მათემატიკას, რელიგიას, ხელოვნებას და სხვ. მაგრამ საპირისპირო აზრიც იმავე ძალისაა: საკუთარი სიცოცხლის საზრისად ამ მეცნიერების არჩევაც ე. ხარაძის შინაგანი ბუნების ხასიათზე მეტყველებს!

ჯერ კიდევ ბავშვობაში, როცა სოფელში, მამისეულ სახლში საზაფხულოდ ჩასული ე. ხარაძე, სახურავზე ასული უფროს ძმასთან არჩილთან ერთად (შემდგომში ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი), შორეულ მნათობებს გასცქეროდა და ჯერაც გაუცნობიერებლად ისმენდა ასტრონომიაზე შეყვარებული მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის თხრობას, თანდათან ძლიერდებოდა კოსმოსით მისი გატაცება. მაგრამ პროფესიად ვარსკვლავთმრიცხველობის არჩევაზე ფიქრი არა თუ მაშინ, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლის დროსაც კი არ შეეძლო: ასტრონომიული მეცნიერება და განათლება იმ დროს საქართველოში ჯერაც არ დანერგილიყო, თუმცა კოსმოსით ქართული სულის გაჟღენთილობა ყველა საუკუნეში უდავოა. ამას მოწმობს ქართული ენის გაჯერებულობაც ციური ლექსიკით, მითოლოგიაც, ასტრონომიულ-ასტროლოგიური ხასიათის ხელნაწერებიც, ძველი კოლხეთის ფილოსოფიური სკოლებიც, ცნობები თბილისის შუასაუკუნოვან ობსერვატორიაზე, უბრწყინვალესი ლიტერატურული ძეგლებიც, თუნდაც ავთანდილის საოცარი მიმართვა შვიდი მნათობისადმი, რომელშიც ვეფხისტყაოსნის ავტორის საკვირველი ასტრონომიული განსწავლულობა მჟღავნდება. მაგრამ შემდგომ საუკუნეთა კულტურულ-პოლიტიკური დაქვეითებისა და მომდევნო ნაწილობრივი ალმასვლის დაწყების მერე საქართველოში ასტრონომიის აღორძინების პრობლემა კვლავაც გადაუწყვეტელი იყო და სწორედ XX ს.-ის დასაწყისში იდგა დღის წესრიგში. ბედის დაწერილობით თუ ლოგიკით ამ დიდი საქმის განხორციელება ე. ხარაძეს ხვდა წილად: ეს მან დააარსა შემდგომში მსოფლიოში სათანადოდ აღიარებული აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, შემდეგ კი მალევე დააფუძნა უმაღლესი ასტრონომილი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მაგრამ ასევე განსაკუთრებულია ე. ხარაძის ღვაწლი ორივე დაწყებული სფეროს შემდგომი ბედის წარმართვაში. ე. ხარაძემ ნახევარ საუკუნეზე ბევრად მეტხანს უხელმძღვანელა ობსერვატორიასაც და ასტრონომიის კათედრასაც. ეს კი მოიცავდა საკითხთა ზღვას: ობსერვატორიის აღჭურვას ტელესკოპ-ლაბორატორიებით, საკვლევი მიმართულების შერჩევას, მსოფლიოს მეცნიერებასთან კონტაქტების ჩამოყალიბებას, პირველხარისხოვანი სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნას, სამეცნიერო კადრთა აღზრდას, პუბლიკაციების უზრუნველყოფას და სათანადო სამეცნიერო ჟურნალთა დაარსებას, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოთა შექმნას, ასტრონომიის განუხრელ პროპაგანდას პერიოდული გამოცემების საშუალებით და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისა და საცნობარო კრებულ-ალმანახების მომზადებით. იგი იძლევა პირად მაგალითს კვლევაშიც და განათლების სფეროშიც: საფუძველს უყრის ობსერვატორიაში ჩვენი გალაქტიკის აგებულების კვლევას მის გაბნეულ ნივთიერებაში სინათლის შთანთქმის მიხედვით, იღებს პირველხარისხოვან შედეგებს, აფუძნებს (ქ-ნ რ. ბართაიასთან ერთად) ვარსკვლავთა სპექტრული კლასიფიკაციის ეფექტურ სკოლას, ალღოს უღებს ახალ კვლევით მიმართულებებს (ვარსკვლავთა ელექტროფოტომეტრია, ვარსკვლავთშორისი მატერიის გათვალისწინება სამყაროს კვლევის შედეგთა კორექციისათვის, სამზეო და სხვა სამსახურთა მსოფლიო ქსელში ქართველ ასტრონომთა ჩაბმა და ა. შ.), იყენებს სხვა ასტრონომიული ცენტრების სამეცნიერო პოტენციალს, მათ შორის აკად. ვიქტორ ამბარცუმიანის ასტროფიზიკურ სკოლას ლენინგრადში, მაღალი კვალიფიკაციის ქართველ ასტრონომ-მკვლევართა მოსამზადებლად (მარტო მიხეილ ვაშაკიძის დასახელებაც კმარა, რომლის სახელი მოგვიანებით, ხარაძისავე წარდგინებით, მთვარის ერთ-ერთ კრატერს მიაკუთვნა საერთაშორისო ასტრონომიულმა კავშირმა), რითაც აბასთუმნის ობსერვატორია მალე ჩადგა მსოფლიოს ავტორიტეტულ კვლევით ცენტრთა რიგებში. სანიმუშო იყო მისი ლექციებიც, რომლებშიც, თეორიული ცოდნის ფონზე, დაკვირვებითი ასპექტების მკვეთრი ხაზგასმა ხდებოდა — ამით იგი მიანიშნებდა, რომ ასტრონომიის ხერხემალი დამზერითი მასალის მოპოვებაა. მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებს შორის ღირსეული ადგილი ეკავა ასტროფიზიკის კურსს: ეს დარგი, რომელიც ციურ სხეულთა ფიზიკურ ბუნებას იკვლევს, პრიორიტეტულია უახლეს ასტრონომიაში.

მაგრამ არც ამით ამოწურულა ე. ხარაძის ღვაწლი. ვინ, თუ არა მან იცოდა, რომ ყოველი შენობა საფუძვლით იწყება და ამიტომ აუცილებელი იყო ასტრონომიის შეტანა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. თავის მრავალდარგობრივ მოღვაწეობასთან სინქრონულად მან ახალგაზრდულ ასაკშივე მოასწრო ხატოვანი ენით და სათანადო მეცნიერულ დონეზე დაწერილი ორიგინალური სასკოლო კურსის შექმნა, რითაც ქართველ ბავშვებს ააცილა მთელ საბჭოეთში დამკვიდრებული პრაქტიკით რუსულიდან თარგმნილი სახელმძღვანელოს არამშობლიურენოვანი წყობის სტრიქონთა კირკიტი. 50 წელზე მეტხანს ქართული ცის ქვეშ ქართველი ბავშვები ვარსკვლავთმრიცხველობას წმინდა ქართული წიგნით სწავლობდნენ, რაც მართლაც სასიხარულოა.

ე. ხარაძეს სიცოცხლის ბოლომდე ახასიათებდა სიახლისაკენ სწრაფვა. მისი ბუნების მრავალფეროვნება გამოვლინდა მისი ობსერვატორიის მრავალდარგოვნობაშიც (აქ ხდება მთვარის, მზის, პლანეტებისა და მათი თანამგზავრების, კომეტების, ჩვენი გალაქტიკის, ვარსკვლავთა სპეციალური კლასებისა და სხვა ობიექტების კვლევა, არის დედამიწის ზემო ატმოსფეროს შემსწავლელი და რადიოასტრონომიული ლაბორატორიები). ამის გარდა ორ მაგალითს მოვიყვანთ ჩვენივე ბიოგრაფიიდან. ასტროფიზიკაში თეორიული მეთოდების ათვისებისა და საქართველოში დანერგვის მიზნით მან ამ წერილის ერთ-ერთი ავტორი (შ. საბაშვილი) მიავლინა ლენინგრადის უნივერსიტეტში და დააკავშირა აკად. ვიქტორ სობოლევის სახელგანთქმულ სკოლასთან; მეორე ავტორთანაა (ჯ. ლომინაძე) დაკავშირებული ბატონ ევგენის შორსმჭვრეტელობა, როდესაც მან აკადემიის პრეზიდენტ ილია ვეკუასთან ერთად გადაწყვიტა დაეფუძნებინა ახალი მიმართულება — პლაზმური ასტროფიზიკა. სამყაროს ეგზოტიკური ობიექტების — შავი ხვრელებისა და ნეიტრონული ვარსკვლავების გარემომცველ გარემოში მიმდინარე პროცესების თეორიულმა გამოკვლევებმა მალე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. ამის ერთ-ერთი დასტურია ის ფაქტიც, რომ უკვე ტრადიციულად ქცეული საერთაშორისო სკოლა „ვარენა-აბასთუმანი" (ობსერვატორიის ინიციატივით დაარსებული) წარმატებით ჩატარდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ობსერვატორიაში პლაზმური ასტროფიზიკის სკოლაგავლილი მრავალი ახალგაზრდა ქართველი მკვლევარი წარმატებით მუშაობს უცხოეთის ბევრ წამყვან ასტროფიზიკის ცენტრში. ყველაფერმა ამან კიდევ უფრო განამტკიცა აბასთუმნის ობსერვატორიის საერთაშორისო ავტორიტეტი. ერთ-ერთი ავტორისათვის (ჯ. ლომინაძე) ასევე დიდი პატივი და საპასუხისმგებლო იყო, როდესაც ბატონმა ევგენიმ 1991 წ. მას შესთავაზა გაძღოლოდა მის მიერ დაარსებულ ობსერვატორიას და ქვეყნისათვის მეტად რთულ პერიოდში ყოფილიყო ობსერვატორიის ხელმძღვანელი. ე. ხარაძე ბოლო წლებამდე ხელს უწყობდა ობსერვატორიის შეიარაღებას უახლესი ზემგრძნობიარე ტექნიკით. თითქმის 90 წელს მიღწეული წერდა ასტრონომიის ისტორიისა და სხვა სახელმძღვანელოებს, ბოლომდე დარჩა მის მიერვე დაარსებული ქართული „ასტრონომიული კალენდრის" აქტიურ ავტორად. აინტერესებდა ყოველი სიახლე მსოფლიო ასტრონომიაში. ყოველივე ამანაც განაპირობა მისი უმაგალითო ჯანმრთელობა. არაერთხელ გვინახავს, როგორ აგრძელებდა კაბინეტში შეწყვეტილ მუშაობას ავტომობილში, თბილისი—აბასთუმნის გზაზე, რომლის გავლა ორივე მიმართულებით ლამის ყოველკვირეულად უხდებოდა. ვერ ძლებდა უობსერვატორიოდ. პროფ. ვიქტორ ჯაფიაშვილი იხსენებს, ერთ-ერთ კურორტზე შვებულების გასატარებლად ჩასული ე. ხარაძე როგორ რეკავდა დღეში რამდენჯერმე, კითხულობდა ასტრონომთა ამბებს, სულ მალე როგორ „გახდა ავად", მიატოვა შვებულება, სასწრაფოდ დაბრუნდა ობსერვატორიაში, იქ ელვისებურად „გამოჯანმრთელდა" და განაგრძო მუშაობა...

ე. ხარაძე მეცნიერების უდიდესი ორგანიზატორი იყო. მან წარუშლელი კვალი დატოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორად მუშაობისას (სამოციანი წლები) როგორც სტუდენტებსა, ისე პროფესორ მასწავლებლებში, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც ჯერ ვიცე-პრეზიდენტად იმუშავა, მერე კი პრეზიდენტად, და იყო სახელგანთქმულ მეცნიერთა — ნიკო მუსხელიშვილისა და ილია ვეკუას ღირსეული მემკვიდრე. აღნიშვნის ღირსია მისი განსაკუთრებული ზრუნვა საზოგადოებრივ მეცნიერებებზე, კერძოდ, ჩვენი აკადემიის ერთ-ერთ მარგალიტზე — ხელნაწერთა ინსტიტუტზე, დიდი ყურადღება ლიტერატურის, ენის, ისტორიის, არქეოლოგიის, ფსიქოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, სახელმწიფოსა და სამართლის დარგების მიმართ.

ე. ხარაძეს ჰქონდა უდიდესი პიროვნული მომხიბვლელობა, მასთან ეპიზოდური შეხვედრაც კი თითოეულ თანამშრომელს სამუდამოდ ამახსოვრდებოდა. გარემოცული იყო საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით. ეს დამსახურებულიც იყო — ის ხომ საოცარ მზრუნველობას იჩენდა კოლეგებისა თუ მოწაფეების არა მხოლოდ მეცნიერული კარიერის, არამედ მათი პირადი ცხოვრების ყველა წვრილმანის მიმართ, დაუღალავად ზრუნავდა მათზე და ეხმარებოდა ყოველმხრივ. საქართველოს ბოლო, ძნელბედობის პერიოდში იგი პირად დანაზოგს თუ ხელფასს და პრემიებს უშურველად უნაწილებდა თანამშრომლებს, იძენდა წიგნებსა და ჟურნალებს ასტრონომიის კათედრისა თუ ობსერვატორიისათვის. მისი ბინა ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე, ასტრონომიის ცენტრი იყო, სადაც უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ თანამშრომლები და პოულობდნენ საჭირო თანადგომას, არცთუ იშვიათად კი სასადილო მაგიდასთან ქ-ნ ციცას მიპატიჟებაზეც ვერ ამბობდნენ უარს.

ე. ხარაძის მოღვაწეობას მსოფლიო მასშტაბები ჰქონდა. იგი ხელმძღვანელობდა გალაქტიკის კვლევის საკავშირო კომისიას, იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, შედიოდა რიგი ორგანიზაციებისა თუ ჟურნალების მმართველ ორგანოებში, 7 წლის მანძილზე საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტად გახლდათ არჩეული. მისი ავტორიტეტი ყველგან შეუვალი იყო, მისდამი მოწიწებაც საბჭოთა კავშირის ასტრონომიულ წრეებში არანაკლები იყო, ვიდრე მისსავე სტუდენტებში. მისი არსებობა ამაღლებდა ადამიანებს და მათ ყოფას და მუშაობას საზეიმო იერს აძლევდა. მისგან უბრალო შექებაც მატერიალურ კეთილდღეობაზე მეტად უღირდათ.

ე.ხარაძე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეც იყო. ჰქონდა მრავალი ჯილდო. მისი სახელი დედამიწას გასცდა და მიეკუთვნა ერთ-ერთ მცირე პლანეტას, რომელიც სხვა „ქართულ" პლანეტებთან ერთად („საქართველო", „თამარი", „აბასთუმანი"...) დაჰქრის კოსმოსში. მაგრამ მისი ხსოვნის ყველაზე საიმედო გარანტი ის დიდი სიყვარულია, რომელიც მან მოიპოვა თავის მშობლიურ ხალხში.

**ჯუმბერ ლომინაძე,**
აკადემიკოსი;

**შალვა საბაშვილი,**
ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტორი

№ 208. ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 2007 წელი.

# ნუთისოფელი

**ჩვენ, საქართველოს ქართველები, რაგინდ ვიპატრიოტოთ, მელაშვილის გვერდით ველარაფრად გამოვჩნდებით**



## გულწრფელი წიგნი

**ახმედი** — ახლა მე პირველ სათქმელებს გეტყვი. თავიდან... მემრე, თუ მოვასტარით, რაცხაები კიდონა გითხრა.

მე — კი, ახმედ ჩემო, ბედნიერი ვარ შენთან რომ ვარ. ძალიან გთხოვ არ მომერიდო, არაფრის შეგეშინდეს. შენი ვარ, ეს იცოდე... (წამოიწევს, ლოყას ლოყაზე მომადებს).

**ახმედი** — აქ, მე ბევრი მტერი გამიჩნდა... ამ სახლს ვქირაობ, ჩემი არ მაქ ჯერ. ისე, არქიტექტი ვარ.

მე — წარმოშობით?

**ახმედი** — მე? ჰაიდარი ვარ? მე იმერხევიდან ვარ. ქართული კითხვა-წერა ბაბამ მასტავლა. იცოდა იმან ძველიდან... შენ ჩემი ხარ, ვიცი ეს. ბევრი ამბავები მინდა გითხრა... ჯერ, ჰო, — ჯერ, რა მინდა. წიგნი მაქ დაწერილი. ეფეიჯა მოზდილია წიგნი, — საქართველოზეა. „გურჯისტანი“ ჰქვია. აქაურებისთვინ მინდა, შით ქართულაც იქნება ტექსტები, მარა, ისე ამბავის მოყოლაი თურქულაა. რა ვქნა აბა, აქავრმა ქართველმა რომ ჩემსავეთ წაკითხვა ჩვენებურისა არ იცის.

მე — ძალიან სწორად გიქნია, — თურქულად! მთავრობა გამოცემის ნებას მოგცემს? (მაშინ, მე საბჭოურ წესრიგს მიჩვეულს, ვერ წარმომედგინა თუ ავტორს, თავისით, გამომცემელთან შეეძლო წიგნის გამოშვება).

**ახმედი** — ნებას კი, მარა თუ მემრე წიგნში რამ ენახა მისთვის მოუწონარი, აკრძალავს. ამიტომ ფრთხილადნა ვიყო. მარა, ჯერ ერთი სხვა რამენა განდო. გვინდა ჟურნალის გამოშვება. ორ თვეში ერთხელ. ან სამ თვეში, რა ვიცი, როგორ მვაფერებთ. იმაშიც ქართული და თურქული ტექსტები ერთმანეთს შეენაცვლება. მარა, მინდა ამ ჟურნალს „ქართველები“ დავარქვათ, ან — „საქართველო“. შენ რას გვირჩევ.

მე — არ მგონია, ჩემო ახმედ, ასეთი სათაურით გაუშვან, ქართველები, საქართველო, — ამ სახელებს თურქი, რა ვიცი, ალბათ, ვერ შეეგუება. აგიკრძალავს. ახმედი ჩაფიქრდება. მალე, შეწუხებული, ისევ შემოიხედავს და...

**ახმედი** — კარქი, რაცხას მოვუნახავთ სხვა სახელს. სწორ ამბობ, — სიტყვა საქართველო ამათ ძულან. ისე, დაბეჭდვით სტოკჰოლმში იქნება დაბეჭდილი. იქ ერთი ჩვენებური გვყავს, კაი ბიჯია, „ჯუმჰურიეთის“ წაგზავნილია სკანდინავ-ქვეყნებში. შანვერი ქვია, ქართულათ — თევზაძეა.

მე — აი, შენ მაგ შანვერს ჩვენებური უწოდე არა? აქაც ბევრგან, ხშირად მესმის ერთმანეთს აქაური ქართველები, ჩვენებურს ეძახით. იქნება მაგ ჟურნალს „ჩვენებური“ დაარქვათ?.. მაგ სიტყვა ხომ იგივე ჩვენიანს, ქართველს ნიშნავს. რა ვიცი, იფიქრეთ. უწყინარი და მისაღები იქნება ხელისუფალისთვის ასე წოდება.

(ცხრა წლის შემდეგ, 1977-ში სწორედ სტოკჰოლმში გამოიცა პირველი ნომერი „ჩვენებური“. ჟურნალი თურქეთში ჩაიტანეს და ჩვენებურებს ჩამოურიგეს. იგი დღესაც გამოდის, სტამბულში და მისი რედაქტორ-გამომცემელი ოსმან მერჯანი, ოთარ იმედაშვილი არის). ამ ჟურნალის სახელის დაბადების ისტორია ასე წვრილად, არასდროს არსად დამიწერია. ჟურნალი ახმედ მელაშვილის მიერ დაარსებულია. თავადაა მისი სულისჩამდგმელი, ეს კარგად იციან თურქეთელმა ჩვენებურებმა, რაც კიდევ უფრო ალამაზებს და ამაღლებს ჟურნალის როლს და ავტორიტეტს.

**ახმედი** — (მაგიდაზე დებს სქლად შეკონილ საქაღალდეებს. გარედან „გურჯისტან“ აწერია თურქულად. სათაურქვეშ, რომელიღაც ჟურნალიდან ამოჭრილი წმიდა გიორგის ცნობილი სურათია, ცხენზე ამხედრებული გრძელი შუბით გველეშაპს რომ ჰკლავს), — ეს წიგნი მოვამზადე. მალე მინდა დაიბეჭდოს. მოლაპარაკებული ვარ. ფარას ერთი ჩვენებური გა-




დაიხდისო. ნახე, გადამითვალიერე, ეგება რამე ჩაუმატო.

მე — ეს დიდებულია! გილოცავ და ვლოცავ ამ მადლიან წიგნს, ჩემო ახმედ! (ვფურცლავ. მთელი საქართველო შიგაა, სურათებით, ლექსებით, თარგმნილია, დედნებით. ისევ ყდაზე დავქცერი) ერთი რამე უთქვათ მე და შენ, ჩემო ახმედ. ეს სურათი გარედან რომაა, წმიდა გიორგია, ხომ იცი, ეს ქრისტიანულია. შეიძლება ამის გამო აქ უსიამოვნება შეგემთხვას, მოდი ეს შევცვალოთ. მუსლიმანურ ქვეყანაში ხარ და აქ დაბეჭდილ წიგნში, აქაური ავტორის მიერ აშკარად ქრისტიანულის... ერთი სიტყვით, მიმიხვდები ალბათ, — წიგნს რამე სიგონჯე არ გადაელობოს. აი, ამას ვჩივი.

იშმუშნება, ფიქრობს, ეტყობა ჭკუაში დაუჯდა შენიშვნა. დგება. თაროსთან უამრავი სურათებია. ეს სურათები სხვადასხვა ქართული გამოცემებიდან მოუგროვებია. ერთგან, „ქართლის დედის“ გამოსახულებამ გაიელვა, თბილისის თავზე რომაა, იმ ქანდაკებისა.

მე — ჩემო ახმედ, იქნებ, ეს სურათი მოვათავსოთ ყდაზე?

მგონი მეთანხმება, იმიტომ რომ სურათი ცალკე გადადო, დანარჩენი ამონაჭრებიც გამომიწოდა. სხვას ხომ არაფერს შემირჩევო. თუმცა ჩანს, თავადაც იგი მოეწონა, რაზეც წელარ ვუთხარი.

* * *

**ახმედი** — ახლა, იმათ მოსვლამდე, ერთი საქმენა განდო. ეს საქმე ჩემთვინ სიკვდილ-სიცოცხლედ ფასობს. ესე იგი, ეს საქმე ან ერთს ნიშნავს, ან — მეორეს. მიგახტინე ნეტაი?

მე — ძალიან კარგად მიმახვდინე, ახმედ! (ის ღელავს. ძალიან განიცდის. ჭოჭმანობს, გამიმხილოს თუ არა, რაღაც მძიმე, იშვიათი, ხიფათიანი რამ სურს მითხრას, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, გაამხილოს თუ არა).

ახმედ ჩემო, ვიცი — გაწუხებს რაცხა, გიჭირს, ან გტანჯავს ხომ? არ მომერიდო, ამიხსენი. მე და შენ ძმები ვართ. ჩათვალე — ერთი დედ-მამის შვილები, შევფიცოთ ერთმანეთს ეს ძმობა ჩვენი. მოდი, ორივე რელიგია მოვიშველიოთ ჩვენი ძმობის მლოცველად. ჩვენ, მე და შენ, ხომ ისტორიულად ქრისტეს მფარველობით გადარჩენილი საქართველოს შვილები, ბოლოს სამი-ოთხი ასეული წელია, მუჰამედი დაგვეპატრონა. ისლამმა ცხოვრების ყადრი გვასწავლა, მაგრამ სხვა ცხოვრებისა. სამშობლო-საქართველოს სიყვარული კინაღამ ცოდვად გვითვალა. მეც ის მტკივა, ჩემო ახმედ, რაც შენ. მართალია მე ქართულ საქართველოში ვარ, შენ — თურქულ საქართველოში ხარ, მაგრამ ორივე ერთნაირი უბედურებით დაბნეულები, ნელ-ნელა ვფხიზლდებით, შინ ვბრუნდებით.

მე მარტო ჩემს თავს ვერ ჩავთვლი დაბრუნებულად, მთელი ჩემი კუთხის ერთად უნდა დავბრუნდე. კუთხე კი, ჯერ, ნამდვილი, სულიერი, დაბრუნებისთვის მზად ვერაა.

**ახმედი** — (ღრმა ფიქრის მერე) მუსლიმანი ქართველები და ქრისტიანი ქართველები, იქ, საქართველოში, ერთმანეთთან კარქათ ვერ ხართ?

მე — როგორ თუ ვერ ვართ. ძალიან დიდებულად ვართ!

**ახმედი** — აბა, ორი ჰუქუმეთი (მთავრობა) რათ გინდებიან, — ერთი თბილისში, ერთიც — ბათუმში?!

ამ შეკითხვამ ჩამაჩუმა.

ადგა, რომელიღაც ზანდუკი გაალო, რაღაცა ჭინჭრებში შეხვეულ-გაკოჭილი გამოიღო, იღლიაში ამოიდო, მოვიდა, ისევ თავის ალაგას მოეწყო, თქვა:

— რაცხას ახლა გეტყვი, ეს საუჩუმაროა. ჩვენ შორის იყოსნა!

მე — (მიკვირს, ვიძაბები) ასეც იქნება!

**ახმედი** — ანკარაში, ერთ საჰუქუმათო (სამთავრობო) არქივში, მეგობარი მყავს. თურქია, კაი კაცი. ერთად ვისტავლეთ უნივერსიტეტში. იქ მუშაობს და, ძველ საქმიებში, საქართველოზე ოსმალურ ბევრ რაცხაებს მიაგნო. სულ იქ, გურჯისტანის ოცდაათი ტომი მასალა ყოფილა, მხოლოდ სამიდან მიკროფილმი ამუღლია. მანახვა და, ბოლოს სულ მომცა ის მიკროფილმი. მეთექვსმეტე საუკუნის გურჯისტანში ოსმალოთა ბატონობის წლების დავთრებია, საქართველოს მაშინდელი ყოფაცხოვრება ჩანს. რა დამიჯდა ეს, მე ვიცი, მარა მინდა, რაცხაფრათ, თბილისში გევტანო. მე იქ ამირან ცამციშვილს ვიცნობ, ისტორიის მეცნიერია. ე, იმას რომ ვახვედრო...

მე — ჩემო ახმედ! აი, მე აგერ ვარ. წავიღებ.

**ახმედი** — შენ?! როგორ გაბედავ აის წაღებას? აქ რომ გეიგონ, მე მაშინვე გამანადგურებენ. შენაც ცუდი დღე დაგადგება. დაგიჭერენ და... რა ვიცი!

ვფიქრობ: ერთხელ დამაკისრა ბედმა ასეთი რამე. გავერიდო? ქვეშ გამოვიდე? არა! რაც მომივა, მომივა. რა ღირებულებისაა, რაც იმ ფირზეა? თუმცა რადგან იგი ახმედს ასეთი სიფაქიზით და გულისძგერით ამოდენა განძად დაუგულებია, — ვენდობი. ეტყობა, ძვირფასია და საჭირო საქართველოსთვის. რაგინდ რა მომივიდეს, ახმედს მაინც არ გავწირავ. მის სახელს არ ვახსენებ. თუ მე გამომიჭირეს აქა... საბჭოთა კავშირი თავის მოქალაქეს... ვნახოთ.

მე — ნუ გეშინია. მოვახერხებ ისე, რომ სალსალამათ გავიტანო. გჯეროდეს, ახმედ, ჩვენებურო, — თავს გავწირავ. შენ კი — არ გაგწირავ.

**ახმედი** — (იღებს გაზეთებში გამოხვეულ და საკერავი ძაფით გამოკოჭილ გორგვალოს. იმხელაა, პლაშის შიგა ჯიბეში ჩაეტევა. ჩავტიე კიდეც. მაისია, ოდნავ გრილა. პლაშს მხარზე მოგდებულს ისედაც ვატარებ. ამას იქით კი სულაც აღარ მოვიცილებ. ჩავტენე ჯიბეში ძლივს, ახმედი „თობდს“ (საკეტი ქინძისთავი) მაძლევს, რითაც ჯიბისპირს ვამაგრებ.

იგი, დუმილით შემომხედავს და კაიხანს ისე მაკვირდება, თითქოს ჩემში რაღაც ახალი, მოულოდნელი აღმოაჩინა. მისი დარდიანი სახე მსუბუქმა ღიმებამ გაანათა, ეს ღიმება მივხვდი, მე ჯილდოდ დავიმსახურე. არ ელოდა, რომ მე, საბჭოთა ქართული მწერლობის კაცი, „ცივი ომის“ საშინელ უნდობლობისა და ურთიერთეჭვიანობის ჟამს, ასე უბრალოდ, ასე ჩვენებურად, ვიკისრებდი იმ საშიში, თითქმის მოპარული განძის სამშობლოში წამოღებას.

იმ წუთებში, ახმედს რომ შევხედავდი, საკუთარ თავს ვუმხელდი, — მთელი მუსლიმური საქართველოს ტკივილი ამ ერთ კაცშია თავმოყრილი.

ჩვენ, საქართველოს ქართველები, რაგინდ ვიპატრიოტოთ, მელაშვილის გვერდით ველარაფრად გამოვჩნდებით.

უფრო გულახდილი ვიყო? — იქ, ბურსაში, იმ ერთი მღელვარე საათის განმავლობაში, ახმედ მელაშვილისაგან საქართველოს სიყვარული უფრო მეტი ვისწავლე, ვიდრე მანამდე — შინ.

ოთახის კარგი გაიღო. იბერია და თამარი მიაცვივდნენ მამას. მე კი მამიდამ, — ასიებიბიმ, — კვლავ ხელი შემომხვია და, — ეი, ჭოვ, გეყვენ ამდენი საუჩუმარო ლაპარაკი. ახლა ერთი მითხარი, რაფრათაა მემლექეთი, ყველაფერი მითხარი... — გვერდით მივუჯექი. ამოთქვა და ამოთქვა. ტიროდა, მაგრამ თვალზე კურცხალი გაშრობოდა, გამოგვალულიყო თვალის უბეები, ძმები, რძლები, იმათი შვილები, ბათუმი, სოფლები და ბოლოს, თავის მშობლების (ჩემი ბებია-ბაბუის) საფლავებიც მოიკითხა.

მეხვეწა, როგორმე რესულას (ძმას) ისე მუუწყე საქმე, ერთხელ აქ მოვდესო, მნახოსო, აჰადა, ოთხმოცდაათი გევრბინე. ახლა რანა გითხრა იცი? — ეს ძალვან დეიხსომე: რაცხამფრათ წამიყვაით, აქ არ დამტიოთ. მოვკვდები და იქ, ბაბა-ნენეს მიწაში ჩამფალით. აჰა, ამას გეხვეწები მარტვაი. სხვა ააფერს...

მამიდას სახეზე, ნაოჭთა ღარები თხლად ჩრდილები ჩაწოლოდა. ბოლო წუთებში ის მხოლოდ მიცქეროდა და მისმენდა. თავად კი ხმას აღარ იღებდა. მას ჩემი ხმა უნდოდა. მისმენდა ისე, გეგონებოდა დიდი ხნის მწუყრვალი ჩემი მოსმენით წყურვილს იკლავდა.

**(გაგრძელება იქნება)**


**გაგრძელება. დასაწყისი**
იხ. „სრ“ № 183-207.

# უცხოური პრესა

**ზუგდიდში გამართული მიტინგის ფინალმა კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური ვითარება. ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში გამართული მიტინგები თბილისში 2 ნოემბრისათვის დანიშნული მოვლენების მხოლოდ გენერალური რეპეტიცია იყო**


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

*ქართველი ოლიგარქი ბადრი პატარკაციშვილი აპირებს ქვეყანაში ოპოზიციის დაფინანსებას. ეს 29 ოქტომბერს განაცხადეს ბიზნესმენის პრეს-სამსახურში და დაასახელა კიდეც ასეთი კატეგორიული გადაწყვეტილების მიღების მიზეზი – კვირას დასავლეთ საქართველოს ქალაქ ზუგდიდში ხელისუფლების მომხრეთა შეტაკება ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებთან. იმ სცენარის მონახაზი, რომელიც შესაძლოა გათამაშდეს თბილისში მომავალ პარასკევს, საქართველოს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ გასულ უქმე დღეებში წარმოაჩინეს დასავლეთ საქართველოში, სადაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეებმა ამ ბოლო ხანებში თბილისიდან გადაისროლეს ძირითადი პროპაგანდისტული ძალები. სამეგრელოს რეგიონში ოპოზიციური „საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ეროვნული საბჭოს“ ლიდერების მიერ ორგანიზებული მიტინგი დასრულდა დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეტაკებით. ჯერ იყო და, წალენჯიხის რაიონულ ადმინისტრაციულ ცენტრში პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობის ადგილობრივი განყოფილების აქტივისტებმა მიიტანეს იერიში ოპოზიციური ხალხის პარტიის თავკაცზე კობა დავითაშვილზე, შემდეგ კი, უკვე რეგიონის ცენტრში – ქალაქ ზუგდიდში, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა პირებმა სასტიკად სცემეს საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს კონსერვატიული პარტიისაგან, „დემოკრატიული ფრონტის“ ფრაქციის წევრებს ბეჟან გუნავას და ბიძინა გუჯაბიძეს. მათ დახმარებისათვის ექიმებს მიმართეს, რომლებმაც დეპუტატების მდგომარეობა შეაფასეს როგორც საკმაოდ მძიმედ, რადგან მათ ჰქონდათ ტვინის შერყევის ნიშნები. დეპუტატთა ცემის ფაქტი კვირას გადასცა ტელეკომპანია „იმედმა“, რომლის თანამფლობელიც არის ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი.*

# სააკაშვილს ტერორისტის იარლიყი მიაწებეს

ზუგდიდში გამართული მიტინგის ფინალმა კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყანაში არსებული შიდაპოლიტიკური ვითარება. ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ დასავლეთ საქართველოში გამართული მიტინგები თბილისში 2 ნოემბრისათვის დანიშნული მოვლენების მხოლოდ გენერალური რეპეტიცია იყო. ოპოზიციონერებს იმედი აქვთ, რომ ამ დღეს საქართველოს დედაქალაქის ცენტრში შეიკრიბება ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული სულ ცოტა ასი ათასი კაცი, რომლებიც არ ეთანხმებიან ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკას.

„პრეზიდენტმა სააკაშვილმა 28 ოქტომბერს თავის რეჟიმს წინასწარ გამოუტანა საკმაოდ მკაცრი განაჩენი, რომელსაც აღასრულებენ 2 ნოემბერს თბილისში“, – განუცხადა ჟურნალისტებს თბილისში დაბრუნების შემდეგ სახალხო პარტიის ლიდერმა კობა დავითაშვილმა. არანაკლებ მკაცრად აფასებს ვითარებას გაერთიანებული ოპოზიციის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში, ამჟამად კი არასამთავრობო ორგანიზაციის „თანასწორობის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელობის წევრი გიორგი ხაინდრავა. „მას შემდეგ, რაც მოხდა ზუგდიდში, აშკარა გახდა, რომ პრეზიდენტის „ნაციონალური მოძრაობა“ არის ტერორისტული ორგანიზაცია. ჩვენ ამას კონკრეტული ფაქტებით დავამტკიცებთ. ისევე როგორც იმას, რომ ამ ორგანიზაციის სათავეში მყოფი სააკაშვილიც ტერორისტია“,– განაცხადა ხაინდრავამ.

„ის, რაც ამჟამად ხდება საქართველოში, როცა ხელისუფლება ასე სასტიკად უსწორებს ანგარიშს მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეებს, მათ შორის პარლამენტის წევრებსაც, აბსოლუტურად მიუღებელია. ხელისუფლება აშკარა ტერორზე გადადის“, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას „ახალი მემარჯვენეების“ პარტიის ლიდერმა, ამავე სახელწოდების საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ. მისი თქმით, „პოლიტიკური კრიზისი საქართველოში ძალზე სერიოზულ ფაზაში გადადის, და უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ სიტუაცია არ გასცდეს კონსტიტუციურ ჩარჩოებს“.

ასეთი განცხადება მემარჯვენეთა ლიდერმა გააკეთა თბილისის აეროპორტში, ლონდონში გაფრენის წინ, სადაც იგი აპირებს შეხვდეს ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს. ამ შეხვედრის გამართვის მიზეზი გახდა პატარკაციშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც კვირა საღამოს გამოაქვეყნა მისმა პრესსამსახურმა. ბიზნესმენმა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, მეტისმეტად მჭიდრო კავშირი აქვს ყოფილ თავდაცვის მინისტრთან ირაკლი ოქრუაშვილთან, საჯაროდ განაცხადა, რომ ფინანსურ დახმარებას გაუწევს ოპოზიციას. თავისი გადაწყვეტილება პატარკაციშვილმა დაასაბუთა იმით, რომ საქართველოში მოვლენები შესაძლოა განვითარდეს არაკონსტიტუციური სცენარით და, საბოლოო ანგარიშით, ამით „წაგებული დარჩება ყველა, უწინარეს ყოვლისა კი საქართველო და ქართველი ხალხი“. „ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც პროცესები შეიძლება განვითარდეს ყველაზე უარესი სცენარით, არის ის, რომ ოპოზიციას აქვს მცირე ფინანსური რესურსები. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე გავუწიო ფინანსური დახმარება „საყოველთაო-სახალხო მოძრაობის ეროვნულ საბჭოს“, რათა ცივილიზებული გზით მოხდეს საპროტესტო აქციების მართვა“, – ხაზგასმულია ბიზნესმენის მიერ გაკეთებულ განცხადებაში. ამასთან, პატარკაციშვილი აღნიშნავს, რომ „პრაქტიკულად მთლიანად“ ეთანხმება პრეზიდენტ სააკაშვილის მისამართით გამოთქმულ იმ მოთხოვნებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ქვეყნის ძირითადი ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ლიდერების მიერ ხელმოწერილ საგურამოს მანიფესტში.

პატარკაციშვილის ფულმა შესაძლოა სერიოზული დახმარება გაუწიოს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს. ამასთან, ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რომ პატარკაციშვილი ლეგალურ ბიზნესს ეწევა, და მაშასადამე, ფულიც ლეგალურად იქნება გამოყოფილი. როგორც მოსალოდნელი იყო, პატარკაციშვილის გადაწყვეტილებას პრეზიდენტის ძალზე მკვეთრი რეაქცია მოჰყვა. „საიდუმლო არ არის, რომ ბადრი პატარკაციშვილი დიდი ხანია აფინანსებს ოპოზიციას და იგი მის უკან დგას. ახლა ამ ადამიანმა, უბრალოდ, გადაწყვიტა ჩრდილიდან გამოსვლა. მაგრამ ქართველი ხალხის მოსყიდვა ფულით შეუძლებელია“, – ასეთი კომენტარი გაუკეთე ბიზნესმენის განცხადებას მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა დავით კირკიტაძემ. თავის მხრივ, თბილისის მერი გიგი უგულავა დარწმუნებულია, რომ პატარკაციშვილი, რომელმაც ყველას გასაგონად განაცხადა, რომ აფინანსებს ოპოზიციას, საქართველოში ფაქტობრივად ამზადებს პუტჩს. „პატარკაციშვილმა ვერ შეძლო ქართული სპორტის, ბიზნესის, კულტურის ყიდვა, მაგრამ მან ადვილად იყიდა ქართული ოპოზიცია და მაინც, იგი საწადელს ვერ მიაღწევს“, – აღნიშნა თბილისის ქალაქის თავმა, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი აქტიური მომხრეა.

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

---

# სააკაშვილი ხელისუფლებაში ბანდიტების ფულით მოსულა

**საქართველოში კრიმინალების წინააღმდეგ ბრძოლის ფართომასშტაბიანი კამპანია, რომლის წამოწყების ინიციატორი მიხეილ სააკაშვილი იყო, ბუმერანგივით მიუბრუნდა თვით ქვეყნის პრეზიდენტს. მორიგი რეიდის დროს, რომელიც ამჯერად ქუთაისში განახორციელეს, „კრიმინალმა ავტორიტეტებმა“ სააკაშვილი დაადანაშაულეს... „ქურდულ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტში“.**

ქუთაისელმა ბიზნესმენმა ბონდო შალიკიანმა, რომელიც მოსკოვს აფარებს თავს განაცხადა, რომ 2003 წელს სააკაშვილის ანგარიშზე ჩარიცხა ნახევარი მილიონი დოლარი. შალიკაშვილის თქმით ეს გააკეთა ფრიად გავლენიანი „კანონიერი ქურდის“ ტარიელ ონიანის ზემოქმედების შედეგად.

საქართველოში მაკომპრომენტირებელი მასალებით გაჩაღებული ბრძოლა სულ უფრო მეტად მოგვაგონებს თამაშს ერთ კარში. პრეზიდენტის უახლოეს გარემომცველი პირები უკვე ველარც კი ასწრებენ რეაგირებას ახალ-ახალ ხმაურიან სკანდალებზე, მათ მიერ წამოწყებული იშვიათი კონტრშეტევები კი სამარცხვინო კრახით მთავრდება. როცა დაიწყო ყოფილი თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის დევნა, სააკაშვილმა, როგორც იტყვიან, ახადა თავი პანდორას ყუთს.

როგორც ცნობილია, ამ ერთი თვის წინათ ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ „2004 წელს შალიკიანის უკანონო დაპატიმრება უშუალოდ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ იყო სანქცირებული“. თვით ბიზნესმენის სენსაციური აღსარება კი საჯაროდ გაახმოვანა ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ვალერი გელბახიანმა, რითაც იგი პოლიტიკურ განცხადებად აქცია. მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ქუთაისში დანაშაულებრივი სამყაროსადმი კუთვნილების ბრალდებით დააკავა 18 კაცი, მან ერთ-ერთი „კანონიერი ქურდის“ კუთვნილ ფეშენებელურ სახლში გახსნა პოლიციის განყოფილება. ამასთან, მერაბიშვილმა საზეიმოდ ვითარებაში განაცხადა, რომ „მოუღებს ბოლოს ქურდულ სამყაროს და საკუთრებას დაუბრუნებს ხალხს“.

– მე გადავწყვიტე მომეხდინა რეაგირება ჩვენი ვანოს მიერ ქუთაისში დადგმულ ამ შოუზე, – თქვა გელბახიანმა. – იმიტომ, რომ შალიკიანი ჩემი მეგობარია, და დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება ეცდება ჩვენი ფრაქციის დისკრედიტაციას, მას შემდეგ რაც ეს ადამიანი „კრიმინალურ ავტორიტეტად“ შერაცხა. ხოლო რადგან შალიკიანი მოსკოვში ცხოვრობს, მე, ალბათ, რუსეთთან კავშირშიც დამადანაშაულებენ...

ოპოზიცია არ შემცდარა. უკვე გაისმა ბრალდებები გელბახიანის მისამართით, რომელსაც პრორუსულ ორიენტაციაში ადანაშაულებენ. პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ მისი მეგობარი – შალიკიანი გახდა იმ ელემენტარული რეკეტის მსხვერპლი, რომელსაც ახორციელებენ ხელისუფლება და „კანონიერი ქურდები“, ხან ერთად, და ხანაც – ცალ-ცალკე. 2004 წლის მარტში, ამტკიცებს გელბახიანი, ონიანმა მუქარით აიძულა პატიმრობაში მყოფ შალიკიანს უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოსთვის მისი კუთვნილი ტელეკომპანია.

გელბახიანმა გააფრთხილა ხელისუფლება, რომ მზად არის გამოაქვეყნოს მის ხელთ არსებული ყველა მაკომპრომენტირებული მასალა. თანაც, მისი სიტყვები უკვე სავსებით საკმარისია თუნდაც იმისთვის, რომ სააკაშვილს გუნება-განწყობილება გაუფუჭდეს და სერიოზულად შეილახოს ხელისუფლების რეპუტაცია, რომელიც თავის დამსახურებად მიიჩნევს „ქურდულ სამყაროს წინააღმდეგ გამოცხადებულ შეურიგებელ ბრძოლას“.

გარკვეული ბრალდებები გამოთქვა იმერეთის რეგიონის ყოფილმა გუბერნატორმა ფემურ შაშიაშვილმაც. მისმა მონათხრობმა, რომელიც ეხებოდა სააკაშვილის ურთიერთობას ონიანთან და სხვა „კანონიერ ქურდებთან“, გაზეთ „ალიაში“ თითქმის ორი გვერდი დაიკავა. ამ ტექსტში შეიძლება ვნახოთ მრავალი საჩოთირო დეტალი. მაგალითად, შაშიაშვილის მტკიცებით, პრეზიდენტი საიდუმლო ვითარებაში ხვდებოდა კრიმინალ-ავტორიტეტებს – როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთაც. გარდა ამისა, ონიანი უშუალოდ მონაწილეობდა სახელმწიფოს ამჟამინდელი ლიდერების საარჩევნო კამპანიაში.

– ყველაფერს დანარჩენს კი ამ დღეებში ვიტყვი პრესკონფერენციაზე. გპირდებით, რომ იგი სკანდალური იქნება, – აღნიშნა შაშიაშვილმა. – ჯერჯერობით კი მოვიყვან კონკრეტულ ფაქტს: „ვარდების რევოლუციის“ მეორე დღესვე თბილისში ჩამოვიდა ორი კაცი – ონიანი და ბერეზოვსკი...

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ

● ელისეს სასახლემ, რომელიც ცდილობს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის ხელფასი შეესაბამებოდეს მსოფლიოს სტანდარტებს, გადაწყვიტა იგი მთელი 140 პროცენტით გაზარდოს


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუდის არაბეთის მეფემ ლონდონი უმოქმედობაში დაადანაშაულა

**საუდის** არაბეთის მეფე აბდალა ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად ეწვევა დიდ ბრიტანეთს.

მონარქის სამდღიანმა სახელმწიფო ვიზიტმა შეიძლება შეუწყოს ხელი ორი ქვეყნის კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობას „იმ საერთო ღირებულებათა" საფუძველზე, რომლებსაც იზიარებენ ლონდონი და ერ-რიადი. ასეთი განცხადება გააკეთა შეერთებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სახელმწიფო მდივანმა კიმ ჰაუელზმა, რომელმაც ოფიციალურად გახსნა ბრიტანეთ-საუდის არაბეთის კონფერენცია „ორი სამეფოს დიალოგი".

როგორც ჰაუელზმა თქვა, იმის მიუხედავად, რომ ორ ქვეყანას შორის არსებობს გარკვეული უთანხმოება მთელ რიგ საკითხებში, მათ მაინც აქვთ კარგი საფუძველი ორმხრივი თანამშრომლობის წარმატებული განვითარებისათვის.

საუდის არაბეთი ასრულებს ერთ-ერთ წამყვან როლს ისეთი გლობალური ხასიათის პრობლემების გადაჭრის საქმეში, როგორიც არის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგება, აგრეთვე ერაყთან და ირანთან დაკავშირებული საკითხები.

ვიზიტის წინ საუდის არაბეთის მეფემ ლონდონი მოულოდნელად დაადანაშაულა იმაში, რომ იგი სათანადო ძალისხმევას არ ახმარს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ბრიტანეთის BBC სამაუწყებლო კორპორაციისათვის მიცემულ ინტერვიუში, აბდალამ, კერძოდ, განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ ბრიტანეთის ხელისუფლებას გადასცა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც, შესაძლებელი იქნებოდა ლონდონში 2005 წლის 7 ივლისს მომხდარი ტერაქტების თავიდან აცილება.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე უარყო საუდის არაბეთის მეფის ასეთი მტკიცებულება და აღნიშნა, რომ ამ შინაარსის ინფორმაცია ერ-რიადიდან არ მიუღიათ.

## საფრანგეთის პრეზიდენტი ხელფასის სიმცირეს უჩივის



**ელისეს** სასახლემ, რომელიც ცდილობს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის ხელფასი შეესაბამებოდეს მსოფლიოს სტანდარტებს, გადაწყვიტა იგი მთელი 140 პროცენტით გაზარდოს. ყოველ შემთხვევაში, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, ამას ითვალისწინებს შიდა სარგებლობისთვის განკუთვნილი მემორანდუმი, რომელიც ჩაუვარდა ხელში საფრანგეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სახელმწიფოს მეთაურის შრომის ანაზღაურება არ არის საკმარისი.

საფრანგეთის პრეზიდენტის ხელფასი, რომელიც არ გადაუსინჯავთ მას შემდეგ, რაც ქვეყანას სათავეში ედგა მეხუთე რესპუბლიკის დამაარსებელი გენერალი შარლ დე გოლი, თვეში 8,5 ათას ევროს შეადგენს. ამრიგად, საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაური ნიკოლ სარკოზი უფრო ნაკლებ თანხას გამოიმუშავებს, ვიდრე დასავლეთის სხვა ქვეყნების ლიდერები. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი ხაზინიდან ყოველთვიურად იღებს 15 ათასს გირვანქა სტერლინგს, შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში — 24 ათას დოლარს, გერმანიის ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი კი — 25 ათას ევროს.

მართალია, სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებაშია რეზიდენციები (ელისეს სასახლე, ფორტ ბრეგანსონი, მარინის სასახლე და რამბუიეს ციხე-კოშკი) და სახელმწიფო ტრანსპორტი, პრეზიდენტის ნომინალური ხელფასი მაინც ნაკლებია იმასთან შედარებით, რასაც მისი ხელქვეითები იღებენ. მაგალითად, საფრანგეთში მინისტრი იღებს 13 ათას ევროს, პრემიერ-მინისტრი კი — 20 ათასს. თვით სახელმწიფო მდივნებსაც კი (სახელმწიფო მინისტრების მოადგილეები) თანამდებობრივი სარგო გაცილებით უფრო დიდი აქვთ, ვიდრე პრეზიდენტს — 12 ათასი ევრო.

ახლა გათვალისწინებულია, რომ პრეზიდენტის ხელფასი გაიზარდოს დაახლოებით 20 ათას ევრომდე — პრემიერ-მინისტრის ხელფასის დონემდე. თუ ამ თხოვნას დააკმაყოფილებენ, სარკოზის ხელფასი 140 პროცენტით გაიზრდება.

## აფეთქება პაკისტანის პრეზიდენტის ოფისის მახლობლად

**პაკისტანის** თავდაცვის სამინისტროს მახლობლად კამიკაძის მიერ განხორციელებული აფეთქების შედეგად დაიღუპა სულ ცოტა ექვსი კაცი და 11 — დაიჭრა.

პაკისტანის პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი, რომელიც ამ შენობაში მუშაობდა, არ დაშავებულა. როგორც იტყობინებიან, აფეთქების მომენტში პაკისტანის ხელმძღვანელი სამუშაო ადგილზე იმყოფებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა თავდაცვის სამინისტროს შენობიდან სულ ცოტა კილომეტრზე მდებარე პარკში. აფეთქება მოხდა პოლიციის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან.

ფრანს-პრესის სააგენტო იტყობინება, რომ აფეთქების შედეგად დაიღუპა ორი პოლიციელი, ერთი ველოსიპედისტი და თვით ტერორისტი.

4 სექტემბერს პაკისტანის ადმინისტრაციულ დედაქალაქ რავალპინდში მოხდა აფეთქება. ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედეს ავტობუსში,



რომელიც გადაჰყავდათ პაკისტანის დაზვერვის თანამშრომლები. ტერაქტს 25 კაცი ემსხვერპლა.

ოქტომბერში 139 კაცი დაიღუპა, როცა ქალაქ კარაჩიში მოთარეშეები დაესხნენ თავს ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრის ბენაზირ ბჰუტოს კორტეჟს.

როგორც ვარაუდობენ, ეს ორივე აფეთქება ორგანიზებული იყო ისლამისტი-ექსტრემისტების მიერ, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ბენაზირ ბჰუტო და მუშარაფის მთავრობა ძალზე მჭიდროდ არიან დაკავშირებული შეერთებულ შტატებთან.

დაძაბულობა პაკისტანში გამწვავდა მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის ივლისში პრეზიდენტმა მუშარაფმა ჯარებს უბრძანა შტურმით აეღოთ ისლამაბადის წითელი მეჩეთი. ამ ოპერაციას ასობით კაცი შეეწირა.

წითელი მეჩეთი დაიკავეს ისლამისტ-ექსტრემისტებმა, რომლებიც მას იყენებდნენ ანტისამთავრობო გამოსვლებისა და ისლამაბადში შარიათის კანონების დამყარებისათვის მებრძოლთა ბაზად.



## მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი ინდოელი გახდა

**ზოგიერთი** მონაცემით, ინდოელი მილიარდერი მუკეშ ამბანი, რომლის ქონება 63,2 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი გახდა. ეს თანხა 2 მილიარდით აღემატება მექსიკელი კარლოს სლიმის ქონებას, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ პლანეტის უმდიდრესი ადამიანების სიაში გაუსწრო ამერიკელ ბილ გეიტსს — Microsoft კომპანიის მფლობელს.

მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანების სიაში პირველი ადგი-



ლის დაკავებაში მუკეშ ამბანის შეუწყო ხელი იმან, რომ გაიზარდა Reliance კომპანიის ჯგუფის აქციათა ფასი. მაგრამ, როგორც ინდოეთის PTI საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, ყოველივე ამის შედეგად კიდევ უფრო გამწვავდა ამბანის დაპირისპირება თავის უმცროს ძმასთან — ანილთან. საქმე ის არის, რომ ძმები უკვე კარგა ხანია ვერ მორიგებულან იმაზე, თუ ვის ეკუთვნის ეს ბიზნესი.

გავლენიანმა ამერიკულმა Forbes ჟურნალმა, რომელიც ყოველწლიურად ადგენს მსოფლიოში ყველაზე უმდიდრეს ადამიანთა სიას, ძმებ ამბანებს მიუძღვნა სტატია სათაურით „შუღლი მილიარდერთა ოჯახში".

2005 წელს ორივე ძმის ქონება ერთად შეფასებული იყო 7 მილიარდ დოლარად, მაგრამ მიმდინარე წლის მარტში Forbes-ის მიერ გამოქვეყნებულ სიაში მუკეშ ამბანის 20,1 მილიარდი დოლარი უკვე მე-14 ადგილი ეკავა, ანილს კი — მე-18, რომლის ქონებაც მაშინ 18,2 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

ძმები ერთმანეთს საჯაროდ დაუპირისპირდნენ 2004 წლის დამლევს, როცა ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ ვის უნდა გაეკონტროლებინა მათი აწ განსვენებული მამის — ჯირუბ ბაის მიერ დაარსებული ინდოეთის ერთ-ერთი უდიდესი კონგლომერატის — Reliance industries ჯგუფი. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ მილიარდერების დედამ — კოკილაბენმა საქმე სასამართლომდეც კი მიიყვანა, რომელსაც უნდა გაენაწილებინა ოჯახური ბიზნესი.

ამავე დროს, Forbes ჟურნალის მონაცემებით, ძმებს შორის ბრძოლა ამით არ შეწყვეტილა. თუმცა, როგორც მეთვალყურეები აღნიშნავენ, ძმები ამბანების ფინანსური წარმატება თვალნათლივ მოწმობს, რომ ინდოეთში სწრაფი ტემპით იზრდება საფონდო ბაზარი, რაც თავისთავად მიანიშნებს იმას, რომ სულ უფრო მეტად ძლიერდებიან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები.

## ევროპელები აფრიკიდან ბავშვების გატაცებაში დაადანაშაულეს

**ევროკავშირის ქვეყნების 16 მოქალაქეს წაუყენეს ჩადიდან ბავშვების გატაცების ბრალდება.**

ჩადის ხელისუფლებამ ევროპელები დააკავა ხუთშაბათს, ქალაქ აბეშეს აეროპორტში, როცა ისინი ცდილობდნენ ჩარტერულ თვითმფრინავში 103 ბავშვის ჩასმას. დაკავებულთა შორის არიან საფრანგეთის საქველმოქმედო ორგანიზაციის თანამშრომლები, ჟურნალისტები, აგრეთვე ესპანეთის კუთვნილი თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები. დააკავეს ასევე ჩადის ორი მოქალაქე.



საფრანგეთის Zoe's Ark საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელსაც გამოჰყავს ბავშვები აფრიკის ქვეყნებიდან, უარყოფს მის მიერ კანონის რაიმე დარღვევას. ორგანიზაციის წარმომადგენელთა მტკიცებით, ეს ბავშვები არიან სუდანის დარფურის რეგიონის მკვიდრი ობლები, სადაც მძვინვარებს სამოქალაქო ომი.

მაგრამ, გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფ) თანამშრომლები იტყობინებიან, რომ მრავალი ბავშვი ღამ-ღამობით უხმობს მშობლებს და ისინი აცხადებენ, რომ ცხოვრობდნენ ჩადის სოფლებში.

ბავშვთა უმრავლესობა 3-5 წლის ასაკისაა. მათგან ყველაზე უფროსი ცხრა წლისაა, ყველაზე უმცროსი კი — წლინახევრის.

ბავშვების გატაცებაში და თაღლითობაში ეჭვმიტანილ ცხრა ფრანგს, აგრეთვე ეკიპაჟის შვიდ წევრს მკაცრი სასჯელი ელის.

# დღევანდელობა

● ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს საჯარო მოხელეების შერჩევის სამართლიანი და გამჭვირვალე მექანიზმები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უზრუნველყოს ის, რომ საზოგადოება ჩართული იყოს რეფორმის პროცესში



◎ რეაქცია

## მხოლოდ საზოგადოების აქტიური მონაწილეობით

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება

ოქტომბრის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ მთავრობამ უნდა განახორციელოს დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 100 000 კაცს მისცემს სამუშაოს. პირველი ასეთი პროგრამა 2006 წლის აგვისტო-სექტემბერში განხორციელდა. მაშინ ხელისუფლებამ კერძო სექტორის წარმომადგენლებს მოუწოდა, რომ სამთვიანი ვადით დაესაქმებინათ და შესაბამისად, კვალიფიკაციის ამაღლებაში ხელი შეეწყოთ სპეციალური პროცედურის საფუძველზე შერჩეული 50 000 პირისთვის, რომელთაც ანაზღაურებას ამ სამი თვის განმავლობაში ხელისუფლება გადაუხდიდა.

2007 წლის აპრილში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც განიხილავდა დასაქმების პროგრამის მიმდინარეობას და მის გავლენას დასაქმება-გადამზადებაზე და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკაზე. როგორც პროგრამის ანალიზმა აჩვენა, მის დაგეგმვა-განხორციელებაში იყო შემდეგი ძირითადი პრობლემები: პროგრამის განხორციელების, მისი შედეგების ეფექტურობის მონიტორინგ-ანალიზის და სტაჟიორებისა და საწარმოების საქმიანობის შეფასების მექანიზმების არარსებობა; პროგრამის მიზნების — ახალი უნარ-ჩვევების შეძენის და კვალიფიკაციის ამაღლების და გრძელვადიანი დასაქმების ხელშეწყობის შეუთავსებლობა; პროგრამის დაგეგმვის პროცესში და მისი განხორციელების დაწყებამდე ბიზნესწრეებთან პროგრამის შესახებ დისკუსიის არარსებობა და, შესაბამისად, თანამშრომლობის გზების არასათანადო დაგეგმვა; პროგრამის უარყოფითი გავლენა ინფლაციის დონეზე, რომელმაც იმ დროისათვის, სხვა დამატებითი ფაქტორების გამოც, ოფიციალური მონაცემებით, 10 პროცენტს გადააჭარბა; ზოგადად, პროგრამის არასრულყოფილი დაგეგმვა და მისი შესაძლო შედეგების გათვლების არარსებობა.

ამ ანგარიშის მომზადების პროცესში გამოკითხული ყველა ექსპერტი თანხმდებოდა იმაზე, რომ 2006 წელს განხორციელებული დასაქმების პროგრამა არაეფექტური იყო, თუმცა განსხვავებული გახლდათ მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლებოდა მისი გაუმჯობესება. ზოგიერთის აზრით, ძირითადი პრობლემა იყო ორი განსხვავებული მიზნის — გადამზადებისა და დასაქმების — ერთმანეთში აღრევა, დანარჩენების აზრით კი, სახელმწიფო ხელოვნურად არ უნდა ქმნიდეს სამუშაო ადგილებს; ის შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში არ უნდა ერეოდეს და იმაზე უნდა ზრუნავდეს, რომ პროფესიული განათლების მიღების და გადამზადების მექანიზმები შექმნას.

ექსპერტები მთავრობას ურჩევდნენ, რომ მჭიდრო კონტაქტები დაემყარებინა ბიზნესწრეებთან, გამოეკვლია დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობა და დაედგინა, თუ რა სახის ცოდნაზე არის დღეს ყველაზე დიდი მოთხოვნა, ეს მას შესაძლებლობას მისცემდა, რომ სწორედ ამ ცოდნის მიწოდებაზე გაემახვილებინა ყურადღება და ამით შეეწყო ხელი დასაქმების პრობლემის მოგვარებისთვის.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" ყურადღება გაამახვილა სპეციალური ანტიკორუფციული კომისიის შექმნის თაობაზე პრეზიდენტის განცხადებაზეც, რომელიც, მისი თქმით, უშუალოდ მას და პარლამენტის თავმჯდომარეს დაექვემდებარება. პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ კომისიის ძირითადი ამოცანა მინისტრებისა და მათი ნათესავების შემოწმება და გაკონტროლება იქნება. ამ დროისათვის ცნობილი არ არის, თუ როგორი იქნება კომისიის შემადგენლობა, მისი მუშაობის სტილი და როდისთვის იგეგმება მისი შექმნა. კომისიაზე საუბრის დროს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მთავრობამ ბოლო პერიოდში მწარე გაკვეთილი მიიღო და რომ კომისიის შექმნა ერთადერთი ალტერნატივაა. წარსულის გამოცდილებისა და გაკვეთილების გათვალისწინებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო", რომელიც მსოფლიოში კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, მიიჩნევს, რომ კომისიის მუშაობის წარმატების და, ზოგადად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობისთვის აუცილებელია, კომისია საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობდეს, რასაც მისი შემადგენლობა, საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხი განაპირობებს; კომისიის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფასთან ერთად, სახელმწიფომ დამატებითი ძალისხმევა უნდა მიმართოს იმ ინსტიტუტების გასაძლიერებლად, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კორუფციის პრევენციასა და აღმოფხვრაზე, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის განცხადებით, ახალი კომისია სწორედ ამ ინსტიტუტების მიერ მოძიებულ ინფორმაციას დაეყრდნობა. კერძოდ, ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ისეთი სტრუქტურების უფლებამოსილებების, გამჭვირვალობის, და ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის გაზრდას, როგორიცაა კონტროლის პალატა, გენერალური ინსპექციები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სახალხო დამცველის აპარატი, სასამართლოები და სხვ. ამასთან, საჭიროა, რომ გაძლიერდეს პარლამენტის საზედამხედველო ფუნქცია და უზრუნველყოფილ იქნას გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობა.

დაბოლოს, ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს საჯარო მოხელეების შერჩევის სამართლიანი და გამჭვირვალე მექანიზმები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უზრუნველყოს ის, რომ საზოგადოება ჩართული იყოს რეფორმის პროცესში.

**ოლღა ცისკარიშვილი**

◎ იუბილე

## თდასუ — თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს ნიშნავს

და ამ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილ უმაღლეს სასწავლებელს 15 წელი შეუსრულდა.

ამ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა საზეიმო შეკრება, რომელიც გაიმართა საქართველოს თეატრის მოღვაწეთა სახლის დიდ დარბაზში.

შეკრებილი საზოგადოების წინაშე ერთგვარი ანგარიშით წარსდგა თდასუ-ს რექტორი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ანზორ შარაშენიძე, რომელმაც მიმოიხილა უნივერსიტეტის მიერ განვლილი გზა და დასახული პერსპექტივები.



მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორები იგორ კვესელავა, იბრაიმ დიდმანიძე, გიორგი გაბესკირია, ვაჟა დიდმანიძე, ვალერი სუხიშვილი, სტუდენტები ნინო ბუცხრიკიძე, მირანდა სურმანიძე, მწერალი ნოდარ კობერიძე.

შეკრების მონაწილეებს გააცნეს დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე ახლო და შორეულ საზღვარგარეთიდან მიღებული მოლოცვა-მისალმებები.

შემდეგ დიდი კონცერტი გაიმართა.

* * *

თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტმა შარშან წარმატებით გაიარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული ინსტიტუციური აკრედიტაციის ატესტაცია და 2007-2008 სასწავლო წლებში აკრედიტებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა სიაში მეცხრე ადგილზეა. განისაზღვრა მისი საერთო კონტინგენტი და მისაღები სტუდენტების რაოდენობა.

1992 წლის აგვისტოს დასაწყისში გაიხსნა სასწავლებელი, რომელსაც თავიდან ტექნიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტი დაერქვა. რამდენიმე წლის შემდეგ სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების მაშინდელი პრეზიდენტის მწერალ გურამ ფანჯიკიძის თაოსნობით, ის გარდაიქმნა და ეწოდა თდასუ — თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი. მისი რექტორი კი 1990 წლიდან უცვლელად არის ამ საზოგადოების გამგეობის წევრი და ვიცე-პრეზიდენტი.

პროფესორი ანზორ შარაშენიძე ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნავს:

— ჩვენს სტუდენტობას როგორც ამ წლების მანძილზე, ახლაც ვუმეორებ, რომ არ დაკარგონ დრო მეორეხარისხოვან საქმეებზე. დრო სწრაფად გადის, დღევანდელი ახალგაზრდა ხვალ ჩამოყალიბებულ სპეციალისტად მოგვევლინება. ამისთვისაა საჭირო გულმოდგინებით აითვისონ ყველაფერი ის, რასაც ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიან. ჩვენ გვყავნან ღირსეული პედაგოგები, რომელთაგანაც სტუდენტობამ ცხოვრება უნდა ისწავლოს. ისინი ამ საკითხშიც გამოცდილები არიან. მათგან უნდა ისწავლონ კულტურა და ზრდილობა, თაობებს შორის კეთილი დამოკიდებულება, თავაზიანობა, სხვისი აზრის გათვალისწინება და მისი პატივისცემა, მშობლისადმი ტრადიციული მოწიწება. ისინი ხომ მხოლოდ სიყვარულს ელოდებიან. მშობლები და პედაგოგები, ოჯახი და უნივერსიტეტი — ეს ის გარემოა, სადაც ყალიბდება ახალგაზრდა როგორც პიროვნება და სპეციალისტი. ამასთან, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს დავიწყებული ენა, მამული, სარწმუნოება, რომლებიც ჩვენ გვიანდერძეს დიდმა დავით აღმაშენებელმა და სხვა ღირსეულმა წინაპრებმა, მამულიშვილებმა... და მაშინ შეგვეძლება ჩავთვალოდ, რომ სათანადოდ ვასრულებთ ჩვენს დანიშნულებას...

**მურად ალაშვილი**
**ავტორის ფოტო.**

◎ ინფორმაცია

### ფრანგი რექტორი ჩვენი საპატიო დოქტორი გახდა

**ფრანგული უნივერსიტეტი — პარიზი 4-ის რექტორს ჟან-რობერ პიტს თსუ-ს აკადემიურმა საბჭომ საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.**

ფრანგ რექტორს ჯილდო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ კონფერენციაზე გადასცა, რომელიც 4 ნოემბრამდე გაგრძელდება და მიმდინარეობს სახელწოდებით — „საქართველო და საფრანგეთი: ღვინის ორი ცივილიზაცია".

ფრანგ რექტორს ჟან-რობერ პიტს საპატიო დოქტორის წოდება საქართველოსა და ფრანგულ უნივერსიტეტებს შორის შეტანილი წვლილისთვის მიენიჭა.

**ინტერპრესნიუსი**

### კიდევ ერთი სპორტული მოედანი

**გუშინ** ქალაქის მერმა გიგი უგულავამ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში მდებარე მეუნარგიას ქუჩა №58-ში, № 4 სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე 600 კვმ ფართობის ხელოვნურსაფარიანი მოედანი გახსნა.

ამ ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები განხორციელდა. დასუფთავდა მიმდებარე ტერიტორია, დამონტაჟდა გარე განათების ქსელი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

● საერთოდ კი, სპორტულ არენაზე სააკაშვილის წარმატებების მოლოდინი, ჩანს, არ უნდა გვქონდეს, მაგრამ, შესაძლოა, მან ხასიათი კარგის მხრივ შეიცვალოს? მან ხომ რუსეთის პრეზიდენტს უკვე მეგობარი უწოდა


ეროვნული ბიბლიოთეკა



◎ ორბიტაზე




## ბავშვებიც იპყრობენ?

**თითქმის** ნახევარი დღე დასჭირდა 9 წლის ინდოელ მოსწავლე გოგონას მაჰიმე ატრესს, რათა შეუსვენებლად გაეცურა 38 კილომეტრი აუზში. მან კვირას სტარტი დილაადრიან აიღო და გვიან საღამოს მივიდა „ფინიშთან". თავისი სარეკორდო მარათონი ოფიციალურად მიუძღვნა ცურვის დღის ასოციაციას.

ინდოეთის დედაქალაქის თანამგზავრი ქალაქის მეექვსე კლასის წარჩინებული მოსწავლე რამდენიმე წელია, ცურავს. მრავალჯერ გაიმარჯვა 50, 100 და 400 მეტრზე ცურვაში. ახლა ის ოცნებობს ლამანშის დაპყრობაზე და გეგმავს 40 კილომეტრის შეუჩერებლად გადაცურვას, რისთვისაც შეუპოვრად ემზადება — კვირაში ორჯერ დარბის 45 კილომეტრზე და ყოველდღე თითქმის 5 საათს ცურავს.

## დაჩოქილების ბოდიში

**ფეხბურთის** მოყვარულებმა იციან, რომ ჩემპიონთა ლიგის მორიგ მატჩში ინგლისის „არსენალმა" გამანადგურებელი ანგარიშით 7:0 დაამარცხა პრაღის „სლავია". მატჩის შემდეგ ასე შერცხვენილმა ფეხბურთელებმა მიირბინეს ტრიბუნებთან, სადაც მათ საქომაგოდ ჩამოსული ჩეხი გულშემატკივრები ისხდნენ და დაჩოქილებმა მოუხადეს ბოდიში ასეთი უსუსური თამაშისათვის. ეს უჩვეულო ჟესტი ღირსეულად დააფასეს არა მხოლოდ „სლავიის", არამედ „არსენალის" გულშემატკივრებმაც და მქუხარე ტაშით გააცილეს ჩეხი ფეხბურთელები.

## მასსა ბედნიერდება



**გავრცელდა** ხმები, რომ ბრაზილიელი მრბოლი ფელიპე მასსა ფინელ კიმი რაიკონენთან ერთად დიდი წვლილი რომ შეიტანა „ფერარის" საჯინიბოსთვის ავტორბოლის „ფორმულა-1" მსოფლიო ჩემპიონობის დაბრუნებაში, ცოლს ირთავს. თუმცა თავად პილოტი კომენტარებისგან თავს იკავებს. პრესაში კი უკვე გაჩნდა ქორწილის თარიღი — 30 ნოემბერი.

ბრაზილიელის რჩეულია მისი ძველი დაქალი რაფაელა ბასსი, ერთი წლით მასზე უფროსი რომაა. ის, როგორც მრბოლის მეგობარი, უკვე მონაწილეობდა და მონაწილეობს „ფორმულის" ოფიციალურ ცერემონიებში.

ორშაბათს კი ამ წყვილს გადააწყდნენ მილანის ახლადდაქორწინებულთა სალონში, საქორწინო კაბას რომ არჩევდნენ.

◎ დაჯილდოება

# ორდენები — ღირსეულთ

**უკვე** გაუწყეთ, რომ საქართველოს ძიუდოისტებმა ამას წინათ მინსკში ევროპის გუნდური ჩემპიონობა მოიპოვეს, შარშან კი მსოფლიო თასზე აჯობეს ყველას. ამ გამარჯვებებში შეტანილი წვლილისთვის მოჭიდავეები — ნესტორ ხერგიანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი, ბეთქილ შუკვანი, ზაზა კედელაშვილი, მინდია ხომიზური, დავით ქევხიშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, ზურაბ ზვიადაური, ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი, გიორგი ყიზილაშვილი, ლევან რაზმაძე, ლაშა გუჯეჯიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, მწვრთნელები — შოთა ხაბარელი, გურამ მოდებაძე, ბიძინა მოხევიშვილი და ბორის ფირცხელიანი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ღირსების ორდენებით დააჯილდოვა. მსაჯ მერაბ ლოსეურაშვილსა და სამედიცინო ჯგუფის ხელმძღვანელ გურამ რატიშვილს ღირსების მედლები ხვდათ.

◎ ალპინიზმი

# „თოვლის ჯიქი" დააფასეს



**ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, თუ რა წვლილი მიუძღვის საქართველოს ალპინიზმის განვითარებაში შესანიშნავ სპორტსმენს, ამაგდარ მწვრთნელსა და მრავალი ექსპედიციის ხელმძღვანელ რომან გიუტაშვილს.** მის სპორტულ კოლექციას ამშვენებს სსრ კავშირის ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები. შესრულებული აქვს ასზე მეტი ტექნიკური და სასიმაღლო ასვლა სხვადასხვა რეგიონში. პამირსა და ტიანშანზე ხუთი შვიდათასიანი მწვერვალი დაიპყრო, რის გამოც „თოვლის ჯიქის" წოდებაც დაიმსახურა.

ბიოგრაფიას განსაკუთრებით ის ფაქტი უმშვენებს, რომ ბატონი რომანი გახლავთ პირველი ქართველი მთამსვლელი, რომელმაც 1991 წლის 10 ოქტომბერს საერთაშორისო ექსპედიციის შემადგენლობაში მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (8848 მ.) ჩვენი ქვეყნის ეროვნული დროშაააფრიალა.

რომან გიუტაშვილი ათი წელიწადია, მოსკოვში ცხოვრობს და კვლავ საყვარელ საქმეს ემსახურება. ამას წინათ მას 70 წელი შეუსრულდა. იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბატონი რომანი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. საპატიო ჯილდო ადრესატს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩმა ირაკლი ჩუბინიშვილმა გადასცა. ქვეყნის ხელმძღვანელობის ყურადღებით აღფრთოვანებულმა ალპინისტმა საქართველოს პრეზიდენტს მოსკოვიდან მადლობის წერილი გამოუგზავნა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „წლების განმავლობაში მრავალი ჯილდო მიმიღია, მათ შორის რუსეთის ფედერაციისა და ნეპალის სამეფოსი, მაგრამ „ღირსების ორდენი" მაინც შეუდარებელია. ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა ჩემი ღვაწლის ესოდენ დიდი დაფასებისთვის".

**სურათზე: რომან გიუტაშვილი ამერიკელ დევიდ მაზურთან ერთად 1991 წლის 10 ოქტომბერს ევერესტზე ასვლის წინ.**

◎ ფიფა

# კონტინენტების როტაცია ზედმეტია?

**თავდაპირველად შეგახსენებთ: საფეხბურთო „კონტინენტების როტაცია" იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი პლანეტის კონტინენტებს შეუძლიათ პრესტიჟული საფეხბურთო ტურნირების მასპინძლობა მხოლოდ მორიგეობით. მაგალითად, რადგან 2006 წელს მუნდიალი გერმანიაში გაიმართა, ევროპას ახალი ტურნირის მიღება მხოლოდ 2022 წელს შეუძლია.**




გაითვალისწინარა ეს გარემოება და ისიც, რომ ის ქვეყნები, ფეხბურთის ნამდვილ „ბურჯებად" რომ ითვლებიან, ათწლეულობით ველარ იქნებიან დიდი საფეხბურთო დათვალიერებისა თუ პარადის მასპინძლები და გამამდიდრებლები, ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციის — ფიფას — აღმასკომმა, ორშაბათს, 29 ოქტომბერს ციურიხში რომ გაიმართა, გადაწყვიტა, შეცვალოს მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის კონტინენტთა როტაციის პრინციპი.

როგორც **რეიტერი** ფიფას ვიცე-პრეზიდენტ ჩუნ მონ ჩჟუნზე დაყრდნობით აზუსტებს, როტაცია შეწყდება 2018 წლიდან, ამ დროისთვის ჩემპიონატის მასპინძლობაზე განაცხადის შეტანა შეუძლია ნებისმიერი ქვეყნის ფედერაციას, გარდა იმ კონფედერაციებისა, სადაც წინა ორი მსოფლიო ჩემპიონატიც გაიმართა. ასეთები კი აფრიკა (იქ ჩემპიონატი 2010 წელს იმართება) და სამხრეთ ამერიკაა (2014 წელს მუნდიალს, ალბათ, ბრაზილია უმასპინძლებს). ასე რომ, 2018 წლის ჩემპიონატის მიღებაზე განაცხადის შეტანა ბევრი ევროპის ქვეყნებსაც შეუძლიათ.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტების თავისებური როტაცია შემოიღეს 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, როცა მუნდიალის მიღებაზე დავა ატყდა ევროპის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებს შორის. 2002 წელს მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში პირველად ჩემპიონატს აზიამ (იაპონია — სამხრეთ კორეა) უმასპინძლა, ხოლო 2010 წელს ასევე პირველად მას აფრიკა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მიიღებს.

◎ ჩვენებურზე

# მის თანაგრძნობა — ანა ჩაკვეტაძე



**ანიკო გასაოცარი მოთამაშეა. ამას ლეგენდარული ანა დმიტრიევაც ადასტურებს ქალთა ჩოგბურთის საკუთარი ხედვის სიმაღლიდან.** ჩაკვეტაძეს არა აქვს რაიმე აშკარა კოზირები, არცთუ ძალიან მაღალია ჩოგბურთელი ქალის კვალობაზე, თანაც ერთობ მოხდენილი და ლაზათიანია.

არადა, ამდენს ხომ იგებდა! მართალია, მეორეჯერ ვერ შეძლო კრემლის თასის მოპოვება, მაგრამ ვერცრას უსაყვედურებ: აქ, ეტყობა, პირველ რიგში ფსიქოლოგიაა დამნაშავე. გოგონას, უბრალოდ, დასაკარგი დიახაც ჰქონდა. ანას თრგუნავდა ის, რომ მისგან განმეორებით გამარჯვებას ელოდნენ...

◎ რეგიონი

# შირაქელებმაც იყოჩაღეს

**ამას წინათ თელავში გაიმართა კახეთის ზონალური პირველობა საქართველოს პრეზიდენტის თასზე ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ კახეთის რეგიონის უძლიერესი ფალავნები. შეჯიბრებაზე დედოფლისწყაროელებმა ორი პირველი, სამი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავეს.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მირზაანელი გიორგი და მათე გობეჯიშვილები. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს ჩემპიონთა თანასოფლელებმა — აკაკი და ილია ლობჟანიძეებმა, ასევე, არბოშიკელმა დიმიტრი სეფიაშვილმა, ზემომაჩხაანელ ზურაბ გოგილაშვილს კი მესამე ადგილი ხვდა. გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

საგულისხმოა, რომ გობეჯიშვილები კახეთის ნაკრებში მიიწვიეს და ისინი პრეზიდენტის თასის გათამაშების ფინალშიც იასპარეზებენ.

**ნანა ჭიჭინაძე**
**„სრ" საკ. კორ.**

◎ სხვა გაზეთებიდან

# სააკაშვილი ტატამზე პუტინს იწვევს



**ქართველი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არ იღლება, თავისი გრანდიოზული გეგმებით გააკვირვოს საზოგადოებრიობა, — წერს „კომსომოლსკაია პრავდა". — ძველი დაპირებების (მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერთების თაობაზე) შესრულებას ის ვერანაირად ვერ ახერხებს, მაგრამ ხალხი რაღაცით ხომ უნდა აღაგზნოს, თანაც თავისი პოპულარობა აიმაღლოს და მეზობლების წინაშე იკეკლუცოს. ამიტომაც გადაწყვიტა მიშამ ძიუდოში ვარჯიში.**

— მე მყავს მეგობარი და კოლეგა, რომელიც გატაცებულია სპორტის ამ სახეობით, — განაცხადა მან ძიუდოში საქართველოს ნაკრების წევრებთან შეხვედრაზე. უეჭველად ვლადიმერ პუტინს გულისხმობდა, — ჩვენ მასთან ერთად ურიგო შედეგები როდი გვაქვს ყველა სფეროში, მაგრამ მე მომიწევს მასთან შეჯიბრება ძიუდოშიც. ამიტომაც საღამოობით ვივლი თქვენთან ვარჯიშზე, — გაახარა მან სპორტსმენები.

ტატამზე სააკაშვილის პერსპექტივების შეფასება ჩვენ ვთხოვეთ ათენის ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, ძიუდოისტ დიმიტრი ნოსოვს.

— რათა ქართველმა ლიდერმა რაღაცას მიაღწიოს ძიუდოში, მან სულ ცოტა 6 წელიწადი გულმოდგინედ უნდა ივარჯიშოს. სააკაშვილს ერთადერთი უპირატესობა გააჩნია — ის ახალგაზრდაა და მეტს იწონის. მაგრამ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩი ნამდვილი სპორტის ოსტატია ძიუდოსა და სამბოში. 10-12 წელი ჭიდაობის ამ სახეობას მიუძღვნა. ასე რომ, ფრეს შანსებიც კი საქართველოს პრეზიდენტს პრაქტიკულად არა აქვს.

საერთოდ კი, სპორტულ არენაზე სააკაშვილის წარმატებების მოლოდინი, ჩანს, არ უნდა გვქონდეს, მაგრამ, შესაძლოა, მან ხასიათი კარგის მხრივ შეიცვალოს? მან ხომ რუსეთის პრეზიდენტს უკვე მეგობარი უწოდა. ასეთია თავისებური სპორტული თერაპია.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 208. ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 2007 წელი.

# განცხადება

1. რუსთავის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 16 ნოემბერს 11 საათზე, ქ. რუსთავში, 7 ა მკრ. 2. (საგადასახადო ინსპექციის შენობა), ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 27 თებერვლის №3/11 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, სს „საქშახტმშენის“ შპს „კაზრეთის“ (სნ 225386668) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის ქონება:**

1. კანტორის შენობა – 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი; 2. საწყობები (3 შენობა) – 3 000 (სამი ათასი) ლარი; 3. ქვის სახერხი საამქრო (1 შენობა) – 1 800 (ათას რვაასი) ლარი; 4. ხის დამამუშავებელი საამქრო (1 შენობა) – 8 000 (რვა ათასი) ლარი; 5. მორების სახერხი საამქრო (1 შენობა) – 2 000 (ორი ათასი) ლარი; 6. სადარაჯო შენობა – 500 (ხუთასი) ლარი; 7. სადარაჯო შენობა – 500 (ხუთასი) ლარი; 8. ხერხი ცირკული 1 ცალი – 400 (ოთხასი) ლარი; 9. სახერხი დაზგა 1 ცალი – 700 (შვიდასი) ლარი; 10. გასაშალაშინებელი დაზგა 1 ცალი – 700 (შვიდასი) ლარი; 11. რეისმუსი 1 ცალი – 700 (შვიდასი) ლარი; 12. ფიგურების ამოსაღები დაზგა 1 ცალი – 800 (რვაასი) ლარი; 13. კარის ბლოკი 164 ცალი – 328 (სამასოცდარვა) ლარი; 14. მრიცხველის დაფა 20 ცალი – 20 (ოცი) ლარი; 15. მორების სახერხი 1 ცალი – 800 (რვაასი) ლარი; 16. ფიცრების სახერხი 1 ცალი – 800 (რვაასი) ლარი; 17. ელ. ძრავები 3 ცალი – 700 (შვიდასი) ლარი; 18. ტელეფონის კაბელი 700 მ. – 1400 (ათას ოთხასი) ლარი; 19. ა/მ გაზ 52 ბენზინმზიდი №96-15 ГАН – 500 (ხუთასი) ლარი; 20. ა/მ ზილ 130 ამწე №92-70 ГАН – 800 (რვაასი) ლარი; 21. ა/მ ზილ 130 თვითმცლელი №92-72 ГАЦ – 500 (ხუთასი) ლარი; 22. ა/მ ზილ 130 გაცარცვული №67-34 ГАП – 300 (სამასი) ლარი; 23. ა/მ ზილ 130 მისაბმელით №67-94 ГАП – 600 (ექვსასი) ლარი; 24. ტელფერი 1 ცალი – 1200 (ათასორასი) ლარი; 25. წყლის ავზი 1 ცალი – 2500 (ორიათას ხუთასი) ლარი; 26. ელ. ძრავა 1 ცალი 250 (ორასორმოცდაათი) ლარი; 27. რკინაბეტონის კონსტრუქციები 24 ცალი – 250 (ორასორმოცდაათი) ლარი; 28. გაზის ქურა 20 ცალი – 300 (სამასი) ლარი; 29. გელიო დანადგარი 1 ცალი 500 (ხუთასი) ლარი; 30. წყლის საქაჩი (კომპლექტი) – 1200 (ათას ორასი) ლარი; 31. ფანჯრის ბლოკი 64 ცალი – 128 (ასოცდარვა) ლარი; 32. ლითონის კონსტრუქციები 1500კგ. – 600 (ექვსასი) ლარი; 33. ორტესებრი კოჭი 1160 კგ. დამონტაჟებული 400 (ოთხასი) ლარი; 34. ელ. შტეპსელი 3 ცალი –1 (ერთი) ლარი; 35. რკინის სეიფი, ნახმარი – 300 (სამასი) ლარი; 36. კარადა 4 ცალი – 20 (ოცი) ლარი; 37. სკამი 10 ცალი – 20 (ოცი) ლარი; 38. ტანსაცმლის ჩამოსაკიდი 2 ცალი – 10 (ათი) ლარი; 39. საწერი მაგიდა 12 ცალი – 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი აღნიშნული ქონების საწყისი ფასი შეადგენს 68677 (სამოცდარვაათას ექვსასსამოცდაჩვიდმეტი) ლარს.**

ქონება მდებარეობს მისამართზე: ბოლნისის რ-ნი, დაბა კაზრეთი.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს რუსთავის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 824 121099, ფაქსი: 824 193131. **მისამართზე: ქ. რუსთავი, მე-7-ა მკრ. 2.**

2. რუსთავის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 16 ნოემბერს 14 საათზე, ქ. რუსთავში, 7 ა მკრ. 2. (საგადასახადო ინსპექციის შენობა), ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 მარტის №3/6 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, შპს „ბელაზი 2000“-ის (სნ 225375689) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის ქონება:**

1. საწვავის სისტემის სარემონტო სტენდი „სტარი“, უნგრული წარმოების, ა/მ „ბელაზის“ მაღალი წნევის ტუმბოს სარეგულირებელი (მუშა მდგომარეობაში) – 10 000 (ათი ათასი) ლარი; 2. საწვავის სისტემის სარემონტო სტენდი „სტარი“, უნგრული წარმოების, ა/მ „ბელაზის“ მაღალი წნევის ტუმბოს სარეგულირებელი (დაშლილი, აღდგენას არ ექვემდებარება, წონა ერთი ტონა) – 200 (ორასი) ლარი; 3. გენერატორისა და სტარტერის სასინჯი სტენდი, რუსული წარმოების (მუშა მდგომარეობაში) – 5000 (ხუთიათასი) ლარი; 4. ა/მ „ბელაზი“ ორი ცალი (არამუშა მდგომარეობაში) – 5 000 (ხუთი ათასი) ლარი; 5. ა/მ „ბელაზის“ კარკასი (კაბინა, რამა) – 2 000 (ორი ათასი) ლარი; 6. ა/მ „ბელაზის“ რადიატორები 10 ცალი (არა მუშა მდგომარეობაში, ესაჭიროება რემონტი) – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი; 7. აკუმულატორები 10 ცალი (სარემონტო) – 1500 (ათასხუთასი) ლარი; 8. ტუმბო 25 ცალი (გადაცემათა კოლოფის სათადარიგო ნაწილი, აღსადგენია) – 2000 (ორიათასი) ლარი; 9. ბრონზეს ტულკები 20 ცალი – 800 (რვაასი) ლარი; 10. გადაცემათა კოლოფის ფრაქციონი 150 ცალი – 1500 (ათას ხუთასი) ლარი; 11. ჩანგლის თითი 20 ცალი - 800 (რვაასი) ლარი; 12. გიტარა 6 ცალი (აღსადგენია) – 900 (ცხრაასი) ლარი; 13. ამორტიზატორის სალნიკები 15 ცალი – 300 (სამასი) ლარი; 14. ძრავი 1 ცალი (დაზიანებული, აღდგენას არ ექვემდებარება)– 500 (ხუთასი) ლარი; 15. ძრავი 2 ცალი (დაზიანებული, სარემონტო) – 2000 (ორი ათასი) ლარი.

**სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი აღნიშნული ქონების საწყისი ფასი შეადგენს 36500 (ოცდათექვსმეტიათას ხუთასი) ლარს.**

ქონება მდებარეობს მისამართზე: ბოლნისის რ-ნი, დაბა კაზრეთი.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს რუსთავის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 824 121099, ფაქსი: 824 193131. **მისამართზე: ქ. რუსთავი, მე-7-ა მკრ. 2.**

3. რუსთავის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 19 ნოემბერს 14 საათზე, ქ. რუსთავში, VIIა მკრ №2 (საგადასახადო ინსპექციის შენობა) გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 6 აპრილის №3-29 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სს „გაჩიანის ხორცკომბინატის“ (სნ 226517640) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის ქონება:**

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 74147 კვ. მ. – 74147 (სამოცდათოთხმეტი ათას ასორმოცდაშვიდი) ლარი. 2. წყალგამტარი მოწყობილობა–1 ცალი – 2000 (ორი ათასი) ლარი. 3. №3 შენობა-საამქრო 540 კვ.მ. – 1 ცალი – 500 (ხუთასი) ლარი. 4. სითბური ცენტრი – 1 ცალი – 2000 (ორიათასი) ლარი. 5. №9 შენობა – რქის განყოფილება – 1 ცალი – 500 (ხუთასი) ლარი. 6. №10 შენობა – კაპ. მშენებლობის განყოფილება – 1 ცალი – 500 (ხუთასი) ლარი. 7. №11 შესასვლელი შენობა- ავტოგასაწყობი სასწორი – 1 ცალი – 1500 (ათასხუთასი) ლარი. 8. №14 ჭურვსაწინააღმდეგო თავშესაფარი – 1 ცალი – 500 (ხუთასი) ლარი. 9. ელ.საამქრო გამანაწილებელი მოწყობილობა 144 – 1 ცალი – 500 (ხუთასი) ლარი. 10. ჩავთობის დანადგარი – 1 ცალი – 150 (ასორმოცდაათი) ლარი. 11. დრენაჟი და კანალიზაცია – 1 ცალი – 200 (ორასი) ლარი. 12. სიცივით მომარაგება – 1 ცალი – 1500 (ათასხუთასი) ლარი. 13. ნაკელდამჭერი – 1 ცალი – 100 (ასი) ლარი. 14. ნაკელსაცავი – 1 ცალი – 1900 (ათასცხრაასი) ლარი. 15. ფეკალური წყლების სატუმბი – 1 ცალი – 1600 (ათასექვსასი) ლარი. 16. საკანალიზაციო ქსელი – 1 ცალი – 2800 (ორიათასრვაასი) ლარი. 17. ლამის და ცხიმის დამჭერი – 1 ცალი – 1800 (ათასრვაასი) ლარი. 18. საკანალიზაციო ქსელის დროებითი გამწმენდი ნაგებობა – 1 ცალი – 1000 (ათასი) ლარი. 19. გამწმენდი ნაგებობა – 1 ცალი – 100 (ასი) ლარი. 20. მისასვლელი მოედნის გარე განათება – 800 (რვაასი) ლარი. 21. ელქსელი ამ 7 „პ“-10 – 1 ცალი – 2500 (ორიათასხუთასი) ლარი. 22. ძალური კარადა და 16 ცალი მართვის ღილაკი – 1 ცალი – 300 (სამასი) ლარი. 23. ძალური მანქანა სიგნალიზაციის – 6 ცალი – 300 (სამასი) ლარი. 24. ტუმბო 144/105 5 კვტ ძრავით – 1 ცალი – 250 (ორასორმოცდაათი) ლარი. 25. ძალური ტუმბო 1 ცალი – 100 (ასი) ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 97547 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასორმოცდაშვიდი) ლარს.

ქონება მდებარეობს გარდაბნის რ-ნი, ს. გაჩიანი.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს რუსთავის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

# სხვადასხვა

● გორში გაიაფებული მარილის მყიდველი ბევრი გამოჩნდა, თუმცა ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლება ამგვარი მეთოდებით მოსახლეობის მოსყიდვას ველარ შეძლებს. მათივე თქმით, ყველა პროდუქტი საერთოდ უფასოდ რომ დაარიგონ, 2 ნოემბერს დედაქალაქში ოპოზიციის მიერ დაგეგმილ აქციაზე მაინც ჩავლენ



ცნობებისათვის მიმართეთ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 824 121099, ფაქსი: 824 193131.

**მისამართზე: ქ. რუსთავი, მე-7 ა მკრ. 2.**

4. რუსთავის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 19 ნოემბერს 11 საათზე, ქ. რუსთავში, VIIა მკრ №2 (საგადასახადო ინსპექციის შენობა) რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 29 დეკემბრის №3-255 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე შპს „ცეზარის" (სნ 216316485) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის ქონება:**

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 45000 კვ. მ. – 45360 (ორმოცდახუთი ათას სამასსამოცი) ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 45360 (ორმოცდახუთი ათას სამასსამოცი) ლარს.

ქონება მდებარეობს ქ. რუსთავი, მშვიდობის 24.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი,ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს რუსთავის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 824 121099, ფაქსი: 824 193131.

**მისამართზე: ქ. რუსთავი, მე-7 ა მკრ. 2.**

5. რუსთავის საგადასახადო ინსპექცია 2007 წლის 5 დეკემბერს 12 საათზე, ქ. რუსთავში, VIIა მკრ №2 (საგადასახადო ინსპექციის შენობა) გარდაბნის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 მაისის №3-43-07 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე სს „ჰიდრორემშენის" (სნ 226518541) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს ღია აუქციონს.

**სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შემდეგი სახის ქონება:**

1. სამმართველოს შენობა (1880 კვ.მ.) – 55500 (ორმოცდათხუთმეტიათას ხუთასი) ლარი; 2. საწყობის შენობა (1362 კვ.მ.) – 25800 (ოცდახუთიათას რვაასი) ლარი; 3. სახელოსნო შენობა (90 კვ.მ.) – 8000 (რვა ათასი) ლარი; 4. საღორე (საქათმე) შენობა (450 კვ.მ.) – 32000 (ოცდათორმეტი ათასი) ლარი; 5. გასასვლელი ჯიხურის შენობა (12 კვ.მ.) – 1907 (ათასცხრაას შვიდი) ლარი; 6. ტერიტორიის შემოღობვა (220 მ) – 3800 (სამიათას რვაასი) ლარი; 7. თაღოვანი შენობა (მოდული, 400 კვ.მ.) – 20000 (ოცი ათასი) ლარი; 8. თაღოვანი შენობა (მოდული, 500 კვ.მ.) – 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარი; 9. ავტოამწე კამაზ 53213 – 14500 (თოთხმეტიათას ხუთასი) ლარი; 10. ა/მ მიცუბიში პაჯერო – 8200 (რვაათას ორასი) ლარი; 11. ა/მ კრაზ 250 – 13000 (ცამეტი ათასი) ლარი; 12. ჰიდროამწე ზილ 43141 – 6800 (ექვსი ათას რვაასი) ლარი; 13. ა/მ ზილ მმზ 4502 – 5400 (ხუთიათას ოთხასი) ლარი; 14. ა/მ მაზ 53371 საბარგ. – 6100 (ექვსი ათას ასი) ლარი; 15. ა/მ მაზ 5549-5400 (ხუთიათას ოთხასი) ლარი; 16. ა/მ გაზ 5312 -900 (ცხრაასი) ლარი; 17. ავტობუსი პაზ 672 – 1500 (ათას ხუთასი) ლარი; 18. ავტოსახელოსნო გაზ 52 – 800 (რვაასი) ლარი; 19. ა/მ კამაზ 5410 – 9500 (ცხრაათას ხუთასი); 20. ა/მ ზილ 133 – 5500 (ხუთიათას ხუთასი) ლარი; 21. ავტომისაბმელი – 3000 (სამიათასი) ლარი; 22. ა/მ გაზ 53 – 900 (ცხრაასი) ლარი.

სულ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 253507 (ორასორმოცდაცამეტიათას ხუთას შვიდი) ლარს.

ქონება მდებარეობს გარდაბნის რ-ნი, ს. საკაძე.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს რუსთავის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

ცნობებისათვის მიმართეთ რუსთავის საგადასახადო ინსპექციას შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 824 121099, ფაქსი: 824 193131.

**მისამართზე: ქ. რუსთავი, მე-7 ა მკრ. 2.**

## ◎ ინფორმაცია

### ბალათურიას პარტიაში პოლიციელები და ადვოკატები გაწევრიანდნენ

**პოლიტიკურ მოძრაობა „ქართულ დასში" გუშინ ოთხი ადვოკატი – მაია სირაძე, ედიშერ ქარჩავა, თენგიზ ლატარია და ზურაბ ბაცანაძე გაწევრიანდა.**

ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა ჯონდი ბალათურიამ განაცხადა.

– ვეცდები, რაც შეიძლება მეტი არაპოლიტიკური პროფესიონალი ჩავრთოთ პოლიტიკაში. მიმაჩნია, რომ ეს ქვეყანას უფრო წაადგება. ასევე, ჩვენს მოძრაობაში შეიქმნა დეპარტამენტი, რომელსაც ედიშერ ქარჩავა უხელმძღვანელებს, – აღნიშნა ჯონდი ბალათურიამ.

ედიშერ ქარჩავამ პოლიტიკაში მოსვლის მოტივად ის ფაქტი დაასახელა, რომ ადვოკატებს აღარ დარჩათ არანაირი სამართლებრივი ბერკეტი, რათა სიმართლეს მიაღწიონ.

– სწორედ ამან გადამაწყვეტინა პოლიტიკაში მოსვლა. ყველამ ერთად უნდა თქვას, რომ ქვეყანაში არსებობს უსამართლობის განცდა და ეს უნდა დასრულდეს, – განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

მაია სირაძემ კი „ქართულ დასში" გაწევრიანების შესახებ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რაც თავად ჯონდი ბალათურიასთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა.

– ჩვენს მოძრაობაში მოდიან პოლიციელებიც. ისინი ამბობენ, რომ უკვე შეუძლებელია პოლიციაში მუშაობა. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ძალიან ცუდი მდგომარეობაა შექმნილი. ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ როგორმე ამ ხელისუფლებას კონსტიტუციური ვადა დავასრულებინოთ და შემდეგ კონსტიტუციური გზით შევცვალოთ, – განაცხადა ბალათურიამ.

### თბილისი ბიზნესქალაქად გადაიქცევა

**საკრებულოს სხდომაზე დედაქალაქის ეკონომიკური განვითარებს სტრატეგიაზეც ისაუბრეს, რაც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მომზადდა და 5 ძირითად მიმართულებას, მათ შორის, თბილისის ბიზნესქალაქად გადაქცევას ითვალისწინებს. თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას საკრებულოში მხარი ერთხმად დაუჭირეს, რაც მომავალი წლის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამების შესრულების მხრივ თანხების მოზიდვას განაპირობებს.**

როგორც მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი ზვიად არჩუაძე აცხადებს, თბილისი, როგორც ბიზნესქალაქი, ინვესტორთათვის მიმზიდველი გახდება. ამ კონტექსტში ცალკეული პროგრამები განიხილება, მათ შორის, „ჩვენი უბანი", „ჩვენი ეზო", „ჩვენი ქალაქი".

გარდა ამისა, უცხოელებისთვის ორი სახის პროგრამა შემუშავდება. პირველი მათგანი იმ ვიზიტიორებისთვის იქნება ორიენტირებული, რომლებიც მოკლე ხნით ესტუმრებიან დედაქალაქს, ხოლო მეორე პროგრამა – ხანგრძლივვადიანი უცხოელი სტუმრებისთვის ამოქმედდება.

### იზრდება დედაქალაქის ბიუჯეტი

**საკრებულოს სხდომაზე თბილისის 2007 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში დამტკიცდა.** დედაქალაქის ბიუჯეტი 125 ათასი ლარით იზრდება. პრეზიდენტის სარეზერვო ფონდმა ქალაქს აღნიშნული თანხა სახალხო დღესასწაულის მოსაწყობად გამოუყო, რომელიც თბილისის ბიუჯეტი შემოსავლებსა და ხარჯებში უნდა აისახოს.

### მიწის ნაკვეთებს მოსახლეობას გადასცემენ

**თბილისის საკრებულოს სხდომაზე დედაქალაქის მთავრობამ 18 საკითხი განიხილა.** მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცებაა. კომისიის გადაწყვეტილებით, სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები მოსახლეობას გადაეცემა, თუკი ისინი მას კანონდარღვევით არ ფლობდნენ.

თბილისის საკრებულომ შექმნა კომისია, რომელშიც შედიან მამუკა ახვლედიანი, ანდრო ალავიძე, მანუჩარ მახათაძე, სულხან სისაური, ვალერი გვათუა, პაატა ჭიპაშვილი, მიხეილ საჯაია და სხვები.

ახვლედიანის თქმით, კანონი მიწის მფლობელობის 3 ტიპს ითვალისწინებს: 1) როცა ადამიანი მართლზომიერი მფლობელია და მუნიციპალიტეტის ან ალმასკომის ძველ დადგენილებას ფლობს, რითაც ოდესღაც მიწის ნაკვეთი მიენიჭა. ამ შემთხვევაში იგი დამატებითი გადასახადისგან თავისუფლდება. 2) ის კატეგორია, რომელიც მიწას გარკვეული ვადით ფლობდა, მიწის ღირებულების ათმაგ ოდენობას იხდის და ამის შემდეგ რეგისტრირდება და 3) კატეგორია, რომელიც მიწას საბუთის გარეშე ფლობდა, თუმცა იგი მესაკუთრე იყო. ასეთ დროს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე მიწის გადასახადის ასმაგ ოდენობას იხდის, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე – ორასმაგ ოდენობას, რაც მიწის ნორმატიულ ფასს არ უნდა აღემატოს. (მიწის ნორმატიული ფასი თბილისში ზონების მიხედვით 12-დან 500 ლარამდეა).

მიწის ნაკვეთების საკუთრებაში მიღების მიზნით მოქალაქეები თბილისის მერიას მიმართავენ, რომელიც კანონით გათვალისწინებულ ერთთვიან ვადაში პრობლემას მოაგვარებს. კომისია ამ ვადაში ამა თუ იმ მიწის ნაკვეთზე თანხმობას ან უარს განაცხადებს.

### „საორნოემბრო მარილი" – გორში

**„საორნოემბრო ფასდაკლება გორში" – ასე უწოდებს ადგილობრივი მოსახლეობა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დილიდან გაიაფებული მარილის რეალიზაციის ფაქტს.**

გუშინ დილის 08 საათზე სატვირთო ავტომანქანიდან მარილი საბაზრო ფასთან შედარებით თითქმის ნახევარჯერ იაფად იყიდებოდა.

გორში გაიაფებული მარილის მყიდველი ბევრი გამოჩნდა, თუმცა ისინი აცხადებენ, რომ ხელისუფლება ამგვარი მეთოდებით მოსახლეობის მოსყიდვას ველარ შეძლებს. მათივე თქმით, ყველა პროდუქტი საერთოდ უფასოდ რომ დაარიგონ, 2 ნოემბერს დედაქალაქში ოპოზიციის მიერ დაგეგმილ აქციაზე მაინც ჩავლენ.

### საგურამოსთვისაც მოიცალეს

**სოფელ საგურამოში მდებარე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციისთვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 300 ათასი ლარია გამოყოფილი. ამის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულებაშია აღნიშნული.**

თანხა მცხეთის მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო, გზის შეზღუდულ ვადებში შესასრულებლად კი შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკებების საშუალებით წარიმართება.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები 5-11 ნოემბერს გაიმართება.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

● ღონისძიების მთავარი მიზანი იყო „ახალი ამბების“ საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოს მომსახურების გაცნობა, რომელსაც ის სთავაზობს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და ბიზნეს-სტრუქტურებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს




№ 208. ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 2007 წელი.

◉ სულიერება

# ლუკა მახარებელი — სახარების ავტორი



**31 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია წმიდა დიდებულს მოციქულსა და მახარებელს ლუკას იხსენიებს.**

ქრისტიანობის ისტორიაში წმიდა მოციქული ლუკა გამორჩეული პიროვნებაა.

ლუკა მახარებლის ავტორიტეტზე მეტყველებს, თუნდაც ის, რომ იგი ავტორია ახალი აღთქმის ორი წიგნისა. ერთი მისივე სახელობის სახარებაა, მეორე — „საქმე მოციქულთა“.

წმიდა მოციქული ლუკა მახარებელი ანტიოქიაში დაიბადა. იგი განათლებულ ბერძენთა წრეს ეკუთვნოდა, პროფესიით ექიმი იყო. როცა, მან ქრისტეს შესახებ შეიტყო, პალესტინაში წავიდა და თავად უფლისგან ეზიარა მაცხოვნებელ სწავლებას. წმიდა ლუკა ჯერ კიდევ ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს გაგზავნა იესომ, როგორც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, უფლის მიერ ცათა სასუფევლის შესახებ პირველი ქადაგებისათვის.

...ცნობილია, რომ აღდგომის შემდეგ ქრისტე ემაუსში მიმავალ ლუკას და კლეოპას გამოეცხადა.

საგულისხმოა, რომ ლუკა მახარებელმა პირველმა დახატა მარიამ ღვთისმშობლის სახე, ყრმით, უფალი იესოთი ხელში. ანწყურის ღვთისმშობლის ხატსაც ხომ მას უკავშირებენ!

...წმიდა მოციქულს მოგზაურობისას დაუწერია მისი მეგობრების — პეტრესა და პავლეს ხატები.

ამბობენ, რომ როდესაც ყოვლადწმიდა ქალწულს თავისი სახე დაუნახავს ლუკას დაწერილ ხატზე, წარმოუთქვამს: „ჩემგან შობილისა და ჩემი მადლი იყოს ამ ხატებთან“.

**გიული ლიპარტია**

◉ წარდგენა

# სააგენტო „ახალი ამბები“ აფართოებს მოქმედების არეალს

**ახალი ამბების თბილისის საერთაშორისო პრეს-ცენტრში გაიმართა სააგენტოს საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების გაფართოებული პაკეტის წარდგენა.**

ღონისძიების მთავარი მიზანი იყო „ახალი ამბების“ საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოს მომსახურების გაცნობა, რომელსაც ის სთავაზობს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და ბიზნეს-სტრუქტურებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. პრეს-ცენტრში ნაჩვენები იყო საინფორმაციო პროდუქტები და მომსახურების პაკეტი, რომლებმაც შეკრებილი საზოგადოების გარკვეული ინტერესი გამოიწვიეს.

ბიზნესმენებისთვის დასახმარებლად სააგენტოს შესაძლებლობების შესახებ ილაპარაკა „ახალი ამბების“ სააგენტოს თბილისის საერთაშორისო პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა ოლღა სკვორცოვამ. ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე პასუხად მან განაცხადა, რომ დაგეგმილია საინფორმაციო გამოშვებების გაფართოება არა მარტო რუსულად, არამედ ქართულადაც.





დასასრულ სტუმრებმა უპასუხეს დარბაზში შეკრებილ მასმედიის, ბიზნეს-სტრუქტურებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეკითხვებს.

**მურად ალაშვილი**
**ავტორის ფოტო.**

◉ კრიმინალი

# ყაჩაღური თავდასხმა „ნატახტართან“

**თბილისში, რესტორან „ნატახტართან“ გუშინ ყაჩაღური თავდასხმა მოხდა.**

არსებული ინფორმაციით, ორი შეიარაღებული პირი ორმოცდაათ წლამდე მამაკაცს მაშინ დაესხა თავს, როდესაც იგი ბანკომატიდან თანხას იღებდა.

თავდამსხმელებმა ნაგანის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით 3000 ლარის გატაცება სცადეს. თანხის მფლობელმა წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც მათ ცეცხლი გახსნეს.

დაზარალებული გულმკერდის არეში მიყენებული ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა კრიტიკულია.

თვითმხილველთა თქმით, საპატრულო პოლიციის გამოჩენის შემდეგ, ერთ-ერთი თავდამსხმელი რესტორან „ნატახტარში“ შეიჭრა და მძევალი აიყვანა. დამნაშავის დაკავებისა და მძევლის გათავისუფლების ოპერაცია წარმატებით დასრულდა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ამ დროისთვის დაკავებული თავდამსხმელის ვინაობა უცნობია. მას პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ აღმოაჩნდა. იგი ხან ამბობს, რომ გოგა ხაინდრავაა, ხან კი — კოკა გუნცაძე.

რაც შეეხება მეორე თავდამსხმელს, მან მიმალვა მოახერხა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

# აფეთქება „პასაჟში“

**თევდორე მღვდლის ქუჩაზე, სავაჭრო ცენტრ „პასაჟში“ გუშინ, გამთენიისას ბუნებრივი აირის აფეთქება მოხდა.**

როგორც საგანგებო სიტუაციათა საქალაქო სამსახურიდან იტყობინებიან, აფეთქების შედეგად მობილური ტელეფონის ოთხი ჯიხური დაინგრა.

დაიწვა მეორე სართულზე განთავსებული 80 კვადრატული მეტრის სასაუზმე, ხოლო ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლით ორი მაღაზია დაზიანდა.

ხანძრის ლიკვიდაცია 05:13 საათზე მოხერხდა, რომლის შედეგად არავინ დაშავებულა.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◉ კადრი



◉ ანეკდოტები

— შეიძლება თუ არა, რომ ოჯახში ბავშვის გაჩენა გახდეს კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი?

— კი, მით უფრო, თუ ბავშვი გვიან ღამით გამოჩნდება, თანაც... მთვრალი.

* * *

ქალები ალოგიკურები არიან: ეძებენ თავიანთ მეორე ნახევარს. თანაც ამ უკანასკნელს პირველზე მეტი ფული უნდა ჰქონდეს.

* * *

არყის განხრით ჩემი ნორმა ვიცი! მაგრამ როდესაც სმას ვიწყებ, მას ვერაფრით ვიხსენებ!

* * *



შეიტყუე მეგობარი ბიჭი ივანოვოში და მიიღე საჩუქრად ორი მეგობარი გოგო!

* * *

— ქმარს უნდა გავცილდე. მას საერთოდ გაუქრა ინტერესი სახლისა და ოჯახისადმი. იგი ჩვენი ბოლო ბავშვის მამაც კი არ არის.

◉ ხუმარსიტყვა

## ჩემი სამადლობელი

ბევრი შიმშილით სულს
როცა ლაფავს,
ქვეყნის ლიდერი გვიამბობს
ზღაპარს:
ქატო იქაო და ფქვილი აქო,
ამისთვის ნუთუ არ უნდა
ვაქო?..
ორმოცდაათი ლარიც
საქმეა,
კი ღირს სათქმელად,
კი ღირს საქებად.

**თამაზ ილმელი**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები (კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16)
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90-07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.